# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებული 1918 წელს.

შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

№ 140 (5741)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge    ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika    ფასი 50 თეთრი.


# უსამართლობის მიწისძვრა დედაქალაქის ცენტრში

## გუშინ თაბუკაშვილის ქუჩაზე მოხდა ვანდალიზმის გაუგონარი ფაქტი: საკუთარი ბინებიდან გამოყარეს მცხოვრებლები, რათა დაანგრიონ ახლადაშენებული 13-სართულიანი სახლი!

განგაში!



არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გადაწყვეტილება ვინ მიიღო – თბილისის მერიის ამა თუ იმ მაღალჩინოსანმა, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა თუ ყოვლისშემძლე ვინმემ: ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საკუთარ ხალხს აბუჩად იგდებს, ფეხებზე იკიდებს!

რა საცოდავად ლუღლუღებდა გუშინ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე დავით ავალიანი, – სახლი სეისმურად არასაიმედოა, უკანონოა, სახელმწიფო საჯარო რეესტრში ჩაბარებული არ არის და უნდა დაინგრესო... მერე დასძინა: ვისაც რემონტი აქვს გაკეთებული, კვადრატულ მეტრში 1400 დოლარს ვთავაზობთ, ვისაც არა – 1200 დოლარსო.

თაბუკაშვილის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა 1999 წელს დაიწყო. 2002 წლის 25 აპრილისთვის, როცა თბილისში ექვსბალიანი მიწისძვრა მოხდა, სახლის კარკასი უკვე კარგა ხნის აშენებული იყო... თუმცალა მიწა მძლავრად შეირყა, ახალ სახლს ერთი ბზარიც არ გასჩენია, რადგანაც ის რკინა-ბეტონის მყარ „ბალიშსა“ და ხიმინჯებზე დგას.

ასე რომ, დღეს იმის მტკიცება – სახლს მცირე მიწისძვრაც კი დაანგრევსო, მტკნარი სიცრუეა.

როგორც ჩანს, რახან 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრა „ვარდების რევოლუციამდე“ მოხდა, სათვალავში არ ჩაითვლება!

სახლი უკანონოაო! – ესეც ტყუილია, რადგან მშენებლებს თავის დროზე არქიტექტურის საქალაქო სამსახურის გაცემული (დამტკიცებული პროექტი) ნებართვაც აქვთ და ინჟინერ-კონსტრუქტორთა დასკვნაც რკინა-ბეტონის ვარგისიანობის შესახებ.

„მართალია“ მხოლოდ ერთი რამ: სახლი ჩაბარებული არ არის, რადგანაც ვიდრე მისი მიმდებარე ტერიტორია (ტროტუარები, გაზონები) არ მოწესრიგდება, კორპუსის იერ-სახე (შელესვა-შეღებვა) არ დამთავრდება, საჯარო რეესტრში საბუთებსაც ვერ წარადგენ!

თაბუკაშვილის ქუჩის №50-52 სახლის მშენებლებს შეღებვის სამუშაოები შუა გზაზე შეაწყვეტინეს, მაინც ვანგრევთო!

კორპუსში 5 წელიწადზე მეტია 24 ოჯახი (მინიმუმ 100 კაცი) ცხოვრობს. კი ემუქრებოდნენ, მაგრამ... მაინც არ ეგონათ, თუ ასე გაიმეტებდნენ.

ის, რაც გუშინ დედაქალაქის ცენტრში მოხდა, ჯერარგაგონილი უზნეობა, უსინდისობა და უკანონობაა, რადგანაც, ნებისმიერი კანონი ხალხისთვის იქმნება (ნორმალურ ქვეყნებში ასეა!), და ნებისმიერი გონიერი ხელისუფლება ცდილობს საკუთარ ხალხს, საკუთარ ქვეყანაში ცხოვრების უფლება არ წაართვას.

მართალს ბრძანებენ განწირული კორპუსის მცხოვრებლები – ბოლო ათი წლის განმავლობაში თბილისში აშენებული საცხოვრებელი სახლების მინიმუმ ნახევარი ჯერ საჯარო რეესტრში გატარებული არ არის. ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. განა შეიძლება იქ შესახლებული ასეული ათასობით თბილისელი გარეთ გამოჰყარო, თავისი საკუთრება წაართვა?!

ხალხს უნდა მიეხმარო და არა დათრგუნო და დააბეჩავო.

რაღაც ახალ კანონს იშველიებენ, რომლითაც ზედამხედველობის სამსახურს ნგრევის უფლება მაშინაც კი აქვს, თუ სასამართლო ხელისუფლება მობინადრეების მხარეზეა.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: რიგითი კანონი კი არა, კონსტიტუციაც ფარატინა ქაღალდია, თუ ხელისუფლება სახელმწიფოებრივად ვერ აზროვნებს და საკუთარ ხუშტურებზე ცვლის მას.

თაბუკაშვილის ქუჩაზე ახლახან აშენებული სახლი ექვსბალიან მიწისძვრას გადაურჩა, დღევანდელი ხელისუფლების მახინჯი სულის მიწისძვრას – ვეღარ!

საინტერესოა, რისთვის ან ვისთვის აქვთ გამზადებული სახლწართმეული მობინადრეების კუთვნილი ეს მიწა?

**სპარტაკ ქობულია**









**„ცდომისაკენ ათასი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ — მხოლოდ ერთი“, — უთქვამს ჟ. ჟ. რუსოს. და მართლაც, აჯობებს, წესიერების გზა ავირჩიოთ, რადგან ადამიანი ზნეობრივი არსებაა...**



◎ ძალა ერთობაშია

# ერთ მიწაზე, საქართველოს ცის ქვეშ!

**ქართველებისა და ოსების მშვიდობიანი თანაცხოვრების პულსი არსად ისე მკაფიოდ და ძალუმად არა ცემს, როგორც შიდა ქართლში. თავის დროზე ქალაქ გორს ათასობით ცხინვალიდან დევნილმა შეაფარა თავი — ქართველებმა, ოსებმა, რუსებმა, ებრაელებმა, სომხებმა...** 17 წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, და რა, რა იღონა რუსეთმა, როგორც შუამავალმა მხარემ ქართულ-ოსურ კონფლიქტის მოსაგვარებლად, გარდა იმისა, რომ თავად უღალატა საქვეყნოდ დადებულ პირობას — განუხრელად ელვაწა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, არ განეხორციელებინა რაიმე სავაჭრო, ეკონომიკური, სატრანსპორტო და ა. შ. გარიგება სეპარატისტულ რეჟიმებთან. ამით ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა საბოლოოდ აიხადა ფარდა და საერთაშორისო საზოგადოებრიობას ხელში შერჩა იმპერიული ამბიციებით დაავადებული ქვეყანა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გზაზე ახალმა ვითარებამ და დრომ ახალი ლიდერები წარმოაჩინა, რომლებიც ამ ორი ხალხის შერიგების, ერთ ჭერქვეშ თანაცხოვრების იდეას უჭერენ მხარს. მოძრაობა „სამხრეთ ოსეთის ხალხი მშვიდობისათვის“ სწორედ ამ იდეას ესადაგება.

**სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის და მოძრაობის „სამხრეთ ოსეთის ხალხი მშვიდობისათვის“ ინიციატივით, თამარაშენში ოსთა კავშირის საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება, რომელიც დასახავს ორი ხალხის შემდგომი დაახლოების, საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის, ჩვენი ხალხების თანაცხოვრების გზებს.** 19 ივლისს კი გორში, ქალაქის საზოგადოებრიობის შეკრებაზე, რომელმაც ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის სულისკვეთებით ჩაიარა, ოსთა კავშირის კონფერენციის დელეგატები აირჩიეს. შეკრებაზე სიტყვით გამოსულებმა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლევან მიდოდაშვილმა, პედაგოგებმა: ვიტალი დუდაევმა, მანანა ბედოშვილმა, კულტურის მუშაკმა ლუიზა დუდაევამ და სხვებმა ილაპარაკეს კონფლიქტის დროულად მოწესრიგების აუცილებლობაზე, ხაზი გაუსვეს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს საამისოდ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია.



ქართველებმა და ოსებმა ერთ მიწაზე, ერთ ცის ქვეშ უნდა იცხოვრონ, როცა ერთად ვართ, უფრო მტკიცე და ძლიერნი ვართ. ძალა ერთობაშია! ასეთი იყო გორში გამართული თავყრილობის აზრი.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ არასრულწლოვანთა უფლებები

# დამნაშავესაც და დაზარალებულსაც ავნებს

**ბოლო ხანს ქართულ მედიასივრცეში ძალზე გავრცელდა არასრულწლოვანთა კრიმინალებად მოხსენიება, ისე, რომ მათი დანაშაული სასამართლოს ჯერაც არ დაუდგენია. ამ უკანონობაში ლომის წილი ჟურნალისტებს, სამართალდამცავ ორგანოთა ოფიციალურ წარმომადგენლებზე მოდის.**

ამ საკითხზე გაიმართა დისკუსია სახალხო დამცველის ოფისში. მასში ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ფსიქოლოგებიც მონაწილეობდნენ.

სოზარ სუბარის თქმით, მოზარდთა დამნაშავეებად საჯაროდ გამოცხადებაში, მათი ვინაობის დასახელებაში ყველაზე მეტი ბრალი მედიას მიუძღვის. იგი ხშირად არც ზემოთქმულს სჯერდება და მოზარდის საცხოვრებელ ადგილსაც ამხელს.

ერთმანეთს ორი ღირებულება უპირისპირდება: გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. დროა გავაანალიზოთ, რა უფრო ყურადსაღებია. მართლმსაჯულების განხორციელების მხრივ, ყველაზე მთავარი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, ბავშვთა უფლებების დაცვაა.

— მძიმე დანაშაულის მსხვერპლისთვისაც უარესად ვთრგუნავთ, როცა საჯაროდ ვაცხადებთ მის ვინაობას და დაწვრილებით ვუყვებით, რაც გადახდა, — თქვა სახალხო დამცველმა.

ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ ეთიკის დონეზე ვერ ხერხდება, საამისოდ სათანადო საკანონმდებლო ბერკეტებია საჭირო.

„არასრულწლოვანთა იდენტიფიკაციის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მედიის საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირება. მიგვაჩნია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები უნდა შევიდეს „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში,“ — განაცხადა სოზარ სუბარმა.

იგი უახლეს მომავალში აპირებს პარლამენტს წარუდგინოს კანონში შესატანი ეს ცვლილებები.

**სოფიო გოგლიძე**

№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

◎ გომიკებო, სწორდით!

# „ფერადოვანი“ აღლუმი თბილისში?!

## ეს იდეა კანცელარიიდან მოდისო...

**რამდენიმე დღის წინათ ხმა დაირხა, თბილისში ჰომოსექსუალების აღლუმი გაიმართებაო. რამდენად მართალია ეს? როგორია საზოგადოებრიობის პოზიცია? ამაზე არასამთავრობო ორგანიზაციის „სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის“ პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა რკინიგზის კულტურის სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე ილაპარაკა.**

საზოგადოებრიობას და არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდა, თბილისში მახინჯი სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა მსვლელობას საშუალება არ მისცენ, ამას ყველა დასაშვები ხერხით შეეწინააღმდეგონ.

„მჯერა, რომ ეს იდეა კანცელარიიდან მოდის. ჰომოსექსუალების აღლუმი არსებული რეჟიმის მიერაა დაგეგმილი, ვინაიდან მათ ასეც სურთ, მსოფლიოსა და ევროსაბჭოს მოაჩვენონ, საქართველოში დემოკრატია ვითარდება და ადამიანის უფლებები დაცულიაო, სანაცვლოდ კი იქიდან გრანტები მიიღონ. დაღუპვის გზაზე მდგარი საქართველო ჰომოსექსუალების აღლუმს არ დაუშვებს!“ — განაცხადა მან.

„სოდომის ცოდვას“ შესაძლოა ქვეყნის ფიზიკური მოსპობაც მოჰყვეს. დამტკიცებულია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეს ცოდვა მოდებულია, სტიქიური უბედურებები ხშირია. ბიბლიიდან და ისტორიიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ამ გარყვნილებას ღმერთის განრისხება მოჰყვება“, — აღნიშნა ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა მირონ სალუქვაძემ.

საქართველოს, „სრული ბედნიერებისთვის“ ჰომოსექსუალთა აღლუმიღა აკლია! რატომ ხდება, რომ დასამალი და დასაგმობი სააშკარაოზე ისე გამოგვაქვს, რომ შედეგზე არ ვფიქრობთ? ეს, ალბათ, ე. წ. ევროპული ცივილიზაციის აქტიური შემოტევის გამოა, მაგრამ, თუ ქვეყნის კარი ასე უაზროდ გავაღეთ, უკეთურობა თავისუფლად რომ შემოვა, ესეც ცხადია.

ცნობილია, რომ თბილისში კარგა ხანია, რაც საეჭვო სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელთა თავშეყრის ადგილები ანუ ე. წ. კლუბები მოქმედებს და ამაზე ყურს არავინ იბერტყავს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი დაწესებულებების „იატაკქვეშა“ საქმიანობის შესახებ სახელმწიფო სტრუქტურებში არ იცოდნენ, მაგრამ ამაზე რატომღაც ჯიუტად თვალებს ხუჭავენ.

ჯერ იყო და, „პლეიბოი“ გადმოვაქართულეთ და ასე ვთქვათ, თამამი ქართველი ქალებით (სიტყვა მანდილოსნებს მათთვის ვერ გავიმეტებძ „დავამშვენეთ“. ახლა კი „ცისფერ-ვარდისფერთა“ აღლუმიო...



მავანთა განმარტებით, საქართველო ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. ნუთუ ამ ყველაფერში ისიც შედის, რომ ჩვენს რელიგიას, ტრადიციებს, ზნეობასა და მორალს ფეხი დავაჭიროთ და ასე მახინჯად გავხდეთ, ახლადგამომცხვარი ევროპელები?!“

დამეთანხმებით, რომ საქართველოში კარგა ხანია, რაც საყურიანი და კიკინებიანი ბიჭები აღარ გვიკვირს, მაგრამ უძველეს მართლმადიდებლურ ქვეყანაში, საქართველოში ჰომოსექსუალების აღლუმი წარმოუდგენელი და მიუღებელია. თუმცა რა? ცოტა ხნის წინათ ამგვარი მსვლელობები თვით წმინდა ქალაქ იერუსალიმშიც გაუმართავთ.

სხვამ რაც უნდა ისა სთქვას, მაგრამ თბილისში სექსუალურ უმცირესობათა მასშტაბური მსვლელობა ამაზრზენი იქნება. პრეცედენტი არ უნდა დავუშვათ, თორემ იმდენი მიმბაძველი გამოუჩნდება...

ჯერჯერობით კი მავანნი ამ აღლუმის გამართვას უარყოფენ. მაგრამ რაკი ხმები ასეთი დაბეჯითებით გავრცელდა, შესაძლოა, მასში სიმართლის მარცვალიც ერიოს. და კიდევ: ეგებ, ეს სულაც ერთგვარი „კბილის მოსინჯვაა“, რათა გაიგონ ხალხის აზრი, თუ მართლაც ასეთი აღლუმის გამართვას გადაწყვეტენ?

**„ცდომისაკენ ათასი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ — მხოლოდ ერთი“, — უთქვამს ჟ. ჟ. რუსოს. და მართლაც, აჯობებს, წესიერების გზა ავირჩიოთ, რადგან ადამიანი ზნეობრივი არსებაა...**

**მაია ხორგუაშვილი**

● პრესკონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებზე, მათი უფლებების დაცვაზე. არ თქმულა მხოლოდ ერთი რამ: ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობა სწორედ ქართველობაა



◉ აქტუალური თემა

# ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ხელისუფლებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც ერთნაირად მნიშვნელოვანია

**პრეზიდენტის ინიციატივას ცხინვალის რეგიონის სტატუსის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ საპარლამენტო ოპოზიცია არაერთგვაროვნად აფასებს.**

მემარჯვენე მანანა ნაჭყებიას ესნაადრევად მიაჩნია.

— ასეთი კომისიის შექმნა ნაჩქარევი ნაბიჯია. ამაზე მნიშვნელოვანი ინტეგრაციის პროცესია. ამ კომისიაში არავის მივუწვევივართ, — ამბობს იგი.

მიიწვევენ თუ არა კომისიაში, ეს ჯერჯერობით არც კონსერვატორებმა იციან. თუმცა, ისინი მზად არიან ამ საკითხში ხელისუფლებასთან ითანამშრომლონ.

— უმრავლესობასთან ერთად ავიღეთ პასუხისმგებლობა დროებითი ადმინისტრაციის შექმნაზე. სავსებით შესაძლებელია, რომ პოლიტიკური სტატუსის საკითხებზეც სახელისუფლებო გუნდთან ერთად ვიმუშაოთ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ერთნაირად მნიშვნელოვანია ხელისუფლებისთვისაც და ოპოზიციისთვისაც", — აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

ცნობილია, რომ სახელმწიფო კომისიამ სტატუსის რამდენიმე მოდელი შეიმუშავა. მათგან ის შეირჩევა, რომელიც რეალობას უკეთესად მოერგება.

— საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო თანამეგობრობას ცხინვალის რეგიონის ავტონომიური სტატუსის განხილვისთვის მზაობა დაანახა. ამას რეალობა მოითხოვს. ჩვენ ისე არ ვიქცევით, რომ ჯერ პოლიტიკური მოდელი შევიმუშავოთ და მერე ის რეალობას მოვარგოთ. პირიქით, რეალობიდან გამომდინარე ვმოქმედებთ. ასე მოხდა დროებითი ადმინისტრაციის შექმნისასაც. ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება რეალურმა სიტუაციამ მოითხოვა, — განმარტავს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე შოთა მალაშხია.

ჯერჯერობით ზოგადად მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ სტატუსი ძალზე ფართო ავტონომიის შემცველი იქნება. ამაში მოიაზრება ადგილობრივი თვითმმართველობა, მოსახლეობის უფლებები და მოვალეობები. და ა.შ. კონკრეტულად რა იგულისხმება ავტონომიურობის ძალიან მაღალ ხარისხში, ამაზე პარლამენტში ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ. უმრავლესობის წევრები დარწმუნებული არიან, რომ კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება კონფლიქტის პოლიტიკურ დარეგულირებას უთუოდ დააჩქარებს. ცნობილია ასევე ისიც, რომ სახელმწიფო კომისიას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უხელმძღვანელებს. დანარჩენი, ალბათ, შემოდგომაზე გაირკვევა.

**მზია გელენავა**



◉ კონფლიქტის ზონა

*ცხინვალის რეგიონის სტატუსის საკითხი ძალზე აფიქრებთ კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთ. ქართველები შიშობენ, ვაითუ, ისევ აღმატებული უფლებები დაუკანონონ ოსებს და ამან აავსოს მათი მოთმინების ფიალა. ჯერ ახლა რა დღეში ვართ და, თუკი ოსებს რესპუბლიკა ექნებათ, მერე ნახეთ მათი სითამამეო, — შიშობს ქართველობა.*

*საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან გურამ ვახტანგაშვილს სოფელ ერედვში ტელეფონით დავუკავშირდით. იმანაც იგივე აზრი გამოთქვა:*

# ვინ რას ფიქრობს ცხინვალის რეგიონის სტატუსზე?

— რაც მეტი უფლებები მიენიჭება ჩვენს რეგიონს, ეს, რაღა თქმა უნდა, ძალზე კარგი იქნება. ამას ყველა მიესალმება. მოსახლეობა ხვდება, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ომით გაწამებულმა ხალხმა მშვიდად, ნორმალურად უნდა იცხოვროს. მეტი დამოუკიდებლობა მეტი უფლებების გარანტიცაა! მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთ რეგიონის სახელწოდების გამო აქვთ პრობლემა. ახლა ძლიერი და მსოფლიოში ავტორიტეტული პრეზიდენტი გვყავს. მის აზრს ყველგან პატივსა სცემენ და ანგარიშს უწევენ. მაგრამ, ვთქვათ, ათი წლის შემდეგ უფრო ლოიალურად განწყობილი პრეზიდენტი რომ მოვიდეს, ხომ შეიძლება ამით ისევ ისარგებლონ საქართველოს მტრებმა და სეპარატისტული მოძრაობა განაახლონ? აი, ამისი შიში აქვს მოსახლეობას.

ქართველობამ უკვე იცის, თუ რას ფიქრობენ საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი ოსები. ვესაუბრეთ ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის ინფორაციისა და მეცნიერების მინისტრს **ვლადიმერ სანაკოევსაც.** მან გვითხრა:

— რეგიონისათვის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის შექმნა, უდავოდ, დადებითი ფაქტია. რაღა თქმა უნდა, მოსახლეობის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული. სამხრეთ ოსეთს ოლქის სტატუსი აღუდგება თუ რესპუბლიკა იქნება, ეს არის არის მთავარი. მთავარია, ყველა ეროვნების ადამიანმა ჩვენს კუთხეში ამ სტატუსის ქვეშ კარგად იგრძნოს თავი. ყველაფერი კი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან, რეალობიდან გამომდინარე უნდა იყოს.

ამ დღეებში დიდი ლიახვის ხეობაში „ყოველთა ოსთა" კონფერენცია გაიმართება, სადაც თავს მოიყრიან საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების ადამიანები თითქმის ყველა რეგიონიდან. ისინი იმსჯელებენ ჩვენს მხარეში შექმნილ პრობლემებზე და დასკვნებსაც გააკეთებენ. ხალხს თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს. მოსახლეობამ თავად უნდა გადაწყვიტოს თავისი მომავალი.

სულ სხვაგვარი აზრი აქვთ ცხინვალის რეგიონის სტატუსის შესახებ დე ფაქტო ხელისუფლებას. საქართველოს ხელისუფლებას, ალბათ, დაავიწყდა, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხმა ორ რეფერენდუმზე უკვე დააფიქსირა თავისი პოზიცია, გამოთქვა თავისი აზრი... ჩვენი მომავალი ჩვენვე უკვე გადავწყვიტეთ, — დაახლოებით ეს განაცხადა ამ დღეებში საქართველოს საინფორმაციო საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში ბორის ჩოჩიევმა.

ასე რომ, არნახულად ცხელი პოლიტიკური ზაფხულია საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, ასე აფასებს მიმდინარე პროცესებს დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობა. საკითხი მართლაც მნიშვნელოვანი და საჭირბოროტოა. თუმცა, შეუძლებელი არაფერია. ისტორიას ბევრი ამაზე რთული ვითარებიდან გამოუნახავს სამართლიანი გადაწყვეტილება. ამის მრავალი მაგალითი შემოგვინახა მატიანემ. მთავარია, ოსებსა და ქართველებს შორის ნდობა აღდგეს. ამისთვის კი დიდი ინფორმაციული მუშაობაა ჩასატარებელი. ყველა პრობლემა ურთიერთპატივისცემის პირობებში უნდა გაშუქდეს და შესაბამისი გამოსავალი მოინახოს. ცხადია, რომ აღარ არის ურთიერთბრალდებების დრო. იმ ოსებს და ქართველებს კი, ვინც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ, კარგად მოეხსენებათ ომით გამოწვეული საშინელებების ფასი... დროა, ამ განსაცდელს წერტილი დაესვას!

**ლია ჭილაძე**

№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

◉ სატკივარი

**მოყვრულად მოსული მტერი მტერზედაც უარესიაო, უთქვამს ქართველ კაცს. ვერაფერს იტყვი — გენიალური გამონათქვამია! ალბათ, იმიტომ, რომ, ადრე თუ გვიან, ის მოყვრის ნიღაბს ჩამოიგლეჯს და ბოროტი საქმითა და სიტყვით დაგიპირისპირდება. იმ წუთებს გაწყევლინებს, როცა მიიღე, დააპურე, ძმად და ნათესავად შეითვისე...**

# მრუდე სამართალი

## ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში უმცირესობა სწორედ ქართული მოსახლეობაა!

სწორედ ამგვარმა — მოყვრულად მოსულმა მტრებმა დააკნინეს და დააქციეს საქართველო! აფხაზეთსა და შიდა ქართლში ცოდვის კალო გალეწეს, ჩვენი მიწა-წყალი, ეკლესია-მონასტრები თავის საკუთრებად გამოაცხადეს...

სულ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა საქართველოში „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო-კონვენცია". ამგვარი კონვენციების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. საქართველოში, ამ უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანაში, არც ერთ ეროვნებას თავი დაჩაგრულად არ უგრძვნია და არც დღეს უნდა გრძნობდეს, მაგრამ რა დავაშავეთ ჩვენ, ქართველებმა, ვისაც არა სურს უცხო ქვეყნებში გადაიხვეწოს, ან საკუთარ სამშობლოში იქცეს მდგმურად? ვინ დაიცავს ქართველთა ინტერესებს საქართველოში? — ეს ის მტკივნეული კითხვებია, რომელიც ამგვარი „კონვენციების" კითხვისას უჩნდება ადამიანს, გულს უღრღნის და არ ასვენებს!

პირადად მე, სწორედ ეს კითხვები გამიჩნდა სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში" „საქართველოს გაეროს ასოციაციის" მიერ ორგანიზებულ „საქართველოში ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასების" პროექტის განხილვისას. მას უძღვებოდნენ აშშ-ის ელჩის მოადგილე საქართველოში მარკ შერი და განათლების მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია. პროექტში მონაწილეობდნენ ევროსაბჭოსა და ეუთოს, ევრაზიის ფონდისა და ევროკომისიის წარმომადგენლები, საერთაშორისო სააგენტოები, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის საბჭოს წევრები. აქვე იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

ეროვნული ინტეგრაციის პროგრამა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დააფინანსა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს. შემაშფოთებელია ამ რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა მზარდი იზოლაცია საქართველოსაგან. ამის მიზეზი, უპირველესად, ქართული ენის არცოდნაა. იზოლაციის სერიოზული სიმპტომია ისიც, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ნაკლებად მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ნათქვამია პროგრამაში.

„ყველანაირად ვცდილობთ გამოვძებნოთ რესურსები, რათა დავეხმაროთ საქართველოს მთავრობას ამ სერიოზული პრობლემის გადაწყვეტაში. შევხვდით რეგიონებში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. იმედი მაქვს, რომ ეს საკითხი სასიკეთოდ გადაწყდება და ისინი თავს ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებად იგრძნობენ", — განაცხადა მ. შერიმ.

პრესკონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემებზე, მათი უფლებების დაცვაზე. არ თქმულა მხოლოდ ერთი რამ: ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური უმცირესობა სწორედ ქართველობაა. ამ რეგიონებში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები საუკეთესო მიწებზე სახლობენ და არც ქართული ენის შესწავლაა მათთვის პრობლემა, თუ ამას მოინდომებენ...

შესაბამისმა ორგანიზაციებმა ეს საკითხები უფრო ღრმად, ობიექტურად უნდა შეისწავლოს, რათა მათ მიერ გამოტანილმა ზერელე დასკვნებმა არც ქართულ მოსახლეობას მოუტანოს ვნება და არც იქ მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ინტერესები შელახოს.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

# განსჯა

**● გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოზარდთა დანაშაულების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების გატარება არ შეიძლება იყოს ძირითადი საშუალება ამ მოვლენასთან საბრძოლველად**



**◎ სამართალი**

# არასრულწლოვანთა დანაშაული და სასჯელი

**ხელისუფლებისა და საზოგადოების ცალკეულმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს მოსაზრება მშობლებისა და პედაგოგების პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და შესაბამისი ღონისძიებების (საკანონმდებლო რეგულირების) შემუშავების აუცილებლობის შესახებ.**

ზოგადად ეს სწორია, მაგრამ, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარება. მაშინ, როდესაც მოსახლეობის უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, მშობლების ძირითადი საზრუნავი არა ბავშვების ზედამხედველობა და აღზრდა, არამედ ელემენტარული საარსებო საშუალებების მოპოვებაა. არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები უფრო მეტად ზემოქმედებს საზოგადოების ქცევებსა და მენტალიტეტზე, ვიდრე კულტურული რეგულატორები და სოციალური ნორმები. მასების ენერგია ძირითადად მიმართულია სოციალური ამოცანების გადასაჭრელად. ამ დროს კი ყალიბდება განსხვავებული ინდიკატორები: საზოგადოებრივი მოვლენებისაგან გაუცხოება, ხელისუფლებისადმი უნდობლობა, სოციალური აპათია, რაც, არც თუ იშვიათად, სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების იგნორირებას განაპირობებს. ასეთ პირობებში, მოზარდში მატულობს აგრესიულობა, იგი ცდილობს თვითონ მოიპოვოს ავტორიტეტი, მიაღწიოს წარმატებას, გაიუმჯობესოს მატერიალური პირობები ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, დანაშაულის გზით. ცალკე პრობლემაა ოჯახის გარეთ მცხოვრები, მშობლების ზედამხედველობას მოკლებული, უსახლკარო ბავშვები. ორგანიზაცია „cfdt n/t w/bklhty“-ის მონაცემებით, მარტო თბილისსა და რუსთავში 3000-მდე მზრუნველობას მოკლებული ბავშვია (ე.წ. ქუჩის ბავშვი) დაფიქსირებული. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ბავშვები სწავლა-აღზრდის სისტემის მიღმა არიან დარჩენილნი და კრიმინალური სამყაროს „შევსების“ ძირითად რეზერვს წარმოადგენენ.

ძალზე მნიშვნელოვანია სკოლის როლი მოზარდის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ბოლო წლებში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გამო, მკვეთრად დაეცა დისციპლინა სკოლებში, გაუარესდა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი. ასეთ პირობებში მოზარდის თავისუფალი დრო ივსება არა განათლების მიღებით, სპორტით ან კულტურული ღონისძიებებით, რომელიც მათი სოციალური სტატუსის ამაღლებისაკენ არის მიმართული, არამედ მისი თვითდამკვიდრება ხდება თანატოლებს შორის სხვა სახის ავტორიტეტის მოპოვების საშუალებით. ამ შემთხვევაში აქცენტი გადადის ფიზიკური ძალის დემონსტრირებაზე, იარაღის ხმარებაზე, რაც ლიდერის პოზიციის მოპოვების საშუალებას იძლევა. თანამედროვე პირობებში, სკოლა თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მოზარდის ზნეობრივი განვითარების პროცესზე. განათლების დონის ფორმირების თვალსაზრისითაც, მისი მნიშვნელობა მკვეთრად არის შემცირებული. როდესაც პედაგოგებისა და სკოლის პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, ვამბობთ, ეს უნდა განმტკიცდეს მათი საქმიანობის ხელშემწყობი გარემოს შექმნით.

რეალობა კი სრულიად განსხვავებულ სურათს გვაძლევს. მასწავლებლის პროფესია არაპრესტიჟულია. პედაგოგთა კადრები თითქმის მთლიანად ქალებითაა დაკომპლექტებული. მამაკაცებისათვის პედაგოგობა ლამის დამამცირებელ საქმიანობადაა მიჩნეული. პედაგოგთა მატერიალური უზრუნველყოფის პირობები არადამაკმაყოფილებელია. ძალზე დაბალია მასწავლებლის ეკონომიკური სტატუსი, რაც მცირე ხელფასითაა განპირობებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება საბიუჯეტო სექტორში (სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანიზაციებში) დასაქმებულ მუშაკთა ხელფასის მხოლოდ 32,8 პროცენტს შეადგენს (2006 წლის მონაცემები). შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საბიუჯეტო სექტორში არ არის შრომის ანაზღაურების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. ხელფასების რეგულირების სფეროში გადაწყვეტილებები მიიღება სპონტანურად, ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. ამის ნათელი ილუსტრირებაა ის, რომ თბილისის მერიამ დასუფთავების სამსახურის მუშაკებს ხელფასი 400 ლარიდან განუსაზღვრა, მაშინ, როდესაც მასწავლებელთა შრომის საშუალო ანაზღაურება მხოლოდ 136 ლარია. ასეთ პირობებში, პედაგოგებისა და სკოლის პასუხისმგებლობის ამაღლება მოზარდთა დანაშაულების პროფილაქტიკისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში, სრულიად გაუმართლებელია.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოზარდთა დანაშაულების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი ღონისძიებების გატარება არ შეიძლება იყოს ძირითადი საშუალება ამ მოვლენასთან საბრძოლველად. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ დანაშაულების ზრდა მიმდინარეობს საზოგადოების სოციალური უთანაბრობის გაძლიერებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონის დაცემის პირობებში, ოჯახური კონფლიქტებისა და მოზარდისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტების გახშირების ფონზე, რაზეც არც თუ უმნიშვნელო გავლენას ახდენს მძიმე სოციალური მდგომარეობა. ასეთ პირობებში პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს სოციალური, ეკონომიკური და აღმზრდელობით-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება (წარმოების განვითარება, უმუშევრობის შემცირება, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, სოციალური უთანაბრობის შემცირება და სხვ.) პოზიტიურად იმოქმედებს მოზარდთა (და არა მარტო მოზარდთა) დანაშაულების შემცირებაზე, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება საკმაო დროს მოითხოვს.

პრობლემის გადაწყვეტისათვის საქართველოს კონსტიტუციური სამართლიანობის ლიგას მიზანშეწონილად მიაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

— საქართველოს მთავრობასთან შეიქმნას ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურა — არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა და მიუსაფარ ბავშვთა სოციალური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრი, რომელსაც ქვეყნის ყველა რეგიონში ექნება სტრუქტურული ერთეულები;

— შემოვიღოთ საზოგადოებრივი აღმზრდელის ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც წარიმართება სამართალდამრღვევ ბავშვთა აღზრდა-გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის;

— სპეციალური დაწესებულებების (ბავშვთა სახლების) ქსელის გაფართოება უსახლკარო (მზრუნველობას მოკლებული) ბავშვებისათვის, სადაც მათთვის შეიქმნება პირობები ნორმალური ცხოვრებისა და სწავლა-აღზრდისათვის;

— გაძლიერდეს და გაფართოვდეს სოციალური მუშაკის ინსტიტუტის როლი მოზარდთა დანაშაულების პროფილაქტიკისა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრის სფეროში;

— სასამართლო პრაქტიკაში დაინერგოს სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც განსაზღვრავს მოზარდის დანაშაულის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და მოტივებს და შეიმუშავებს დასჯის ან სამკურნალო და აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარების რეკომენდაციებს;

— გამკაცრდეს იარაღის შეძენის პირობები და გაძლიერდეს მასზე კონტროლი. შეიზღუდოს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების მქონე პირთა კონტინგენტი (ჩვენი აზრით, იგი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ძალოვანი და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებით);

— აიკრძალოს ძალადობის, სისასტიკისა და პორნოგრაფიულ-ეროტიკული შინაარსის მქონე პროდუქციის გაშვება ტელევიზიითა და პრესით. შესაბამისი სანქციების გამოყენებით, დაწესდეს კონტროლი არანორმატიული ლექსიკისა და ჟარგონის გამოყენებისათვის;

— სახელმწიფოს მხარდაჭერით, გაფართოვდეს სკოლის გარეთა დაწესებულებების ქსელი (სპორტული, შემოქმედებითი, ტექნიკური და სხვ. — ბავშვთა ინტერესების მიხედვით); შეიქმნას პირობები ამ დაწესებულებების კერძო სტრუქტურების მიერ დაფინანსების სტიმულირებისათვის (მაგალითად, საგადასახადო შეღავათების მეშვეობით);

— გატარდეს ღონისძიებები სკოლებში სამართლებრივი ცოდნის გასავრცელებლად;

— შემუშავდეს სპეციალური სასწავლო პროგრამა და სკოლებში დაინერგოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიისა და მართლმადიდებლური ცხოვრების წესის სწავლება (მას არ უნდა ჰქონდეს სხვა რელიგიების იგნორირებისა და დამცირების ფორმა, არამედ იგი უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოს შემქმნელი ერის კულტურის, მისი ტრადიციული ღირებულებების გაცნობას, რომლის საწყისიც რელიგიაა);

— არსებითად გაიზარდოს მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, გაუმჯობესდეს მათი შრომის პირობები და სოციალური გარანტიები.

შესაძლებელია ამ ჩამონათვალის გაგრძელება, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ შემოგვეთავაზებინა მხოლოდ ყველაზე აუცილებელი (ჩვენი აზრით) ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოზარდთა დანაშაულების შემცირებას ახლო მომავალში.

ბოლო პერიოდში საზოგადოება აქტიურად გამოეხმაურა არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. ეს ფაქტი მისასალმებელია, მაგრამ მას უნდა მოჰყვეს პრაქტიკული ნაბიჯები, ყველამ უნდა გააცნობიეროს თუ რა ღირებულებებს აირჩევენ დღევანდელი მოზარდები. მასზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი უახლოესი მომავალი, ჩვენი ხვალინდელი საზოგადოება.

კონსტიტუციური
სამართლიანობის ლიგის წევრები:
**ნატო ზაქარეიშვილი,
თემურ ანდღულაძე,
თემურ ჩავლეიშვილი.**

**დასასრული. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 139.**

**◎ ინფორმაცია**

## სახელმწიფო მინისტრის შეცვლას პრობლემების გამოსწორება სჯობსო

**კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მერაბ ანთაძის დავით ბაქრაძით შეცვლას ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელი ბორის ჩოჩიევი საქართველოს ხელისუფლების სისუსტედ აფასებს.**

**როგორც მან საინფორმაციო სააგენტო „რესთან“ საუბრისას აღნიშნა, საქართველო არა სახელმწიფო მინისტრს, არამედ პრობლემების მოგვარების პოლიტიკას, კრიტერიუმებსა და პრობლემებისადმი მიდგომას უნდა ცვლიდეს.**

**— კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის შეცვლა მხოლოდ ამ მიმართულებით სისუსტეზე მიანიშნებს. თუ არ ვცდები, ეს უკვე მეშვიდე სახელმწიფო მინისტრია“, — განაცხადა ჩოჩიევმა.**

## თურმე ძნელი ყოფილა უწყლობა

**საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის წყალმომარაგების პრობლემის აღმოფხვრას ხელს უშლის. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „რესი“ შერეული სამშვიდობო კომისიის ოსური მხარის წარმომადგენლებზე დაყრდნობით იუწყება.**

**მათი ინფორმაციით, საქართველომ კიდევ ერთხელ ჩაშალა ედისი-ცხინვალის წყალსადენის მონაკვეთზე უკანონო მიერთებების დემონტაჟისთვის გათვლისწინებული ღონისძიებები.**

**„რესის“ ცნობით, ეუთო-ს მისიის ინიციატივით, საქართველოს მთავრობასთან მოხდა შეთანხმება, რომ უკანონო მიერთების ადგილებში, რის გამოც ცხინვალის წყალმომარაგება 60 პროცენტით არის შეზღუდული, ოსი სპეციალისტები დაეშვათ.**

## საბაჟო „დასავლეთის“ ახალი ხელმძღვანელი

**საბაჟო „დასავალეთს“ ირაკლი ჯაში უხელმძღვანელებს. ახალი უფროსი თანამშრომლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელმა მინდია გადაევამ წარუდგინა.**

**საბაჟო „დასავლეთის“ ყოფილი ხელმძღვანელი ჯონი ბაბილოძე თბილისში, შემოსავლების სამსახურში გააგრძელებს საქმიანობას.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

# ეს იყო, იყო...

**1998 წელს ბაქოში გამართული სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში „საბჭოთა ტოტალიტარიზმი კავკასიაში (20-30-იანი წლები)“ ასეთი დასკვნებია მოცემული:**
**1921-1938 წლებში საქართველოში დახვრეტილია 13470 კაცი, აქედან 1937-1938 წლებში — 11764**



## შავი იუბილე

აი, ასე — წინდაწინ, ისე რომ, ხალხი ჯერ დაპატიმრებულიც არ არის, უკვე განსაზღვრულია, ვის რა მიესაჯოს — სიკვდილი (პირველი კატეგორია) თუ პატიმრობა (მეორე კატეგორია). თანაც ეს ის ადამიანები არიან, ვინც მოიარა გადასახლება, მოიხადა ციხე-კოლონიებში პატიმრობა და ახალი ცხოვრების დაწყების მოლოდინით დაბრუნდა შინ.

ვინ აცალა: მაშინვე სწვდნენ ყელში და ეშაფოტზე გაგზავნეს ან უკან ციხეებში შეაბრუნეს.

მაგრამ ყველა ეს ახალმოპოვებული ციფრი, რომლებიც დავაჯამე და 9528 დახვრეტილი ვივარაუდე, ალბათ სრული არ არის, ერთ-ერთი ორიენტირია.

პროფესორი **გოგი ციციშვილი** საქ. უშიშროების კომიტეტის არქივის წინასწარ, არასრულ მონაცემებზე, „სასჯელაღსრულების ოქმებზე დაყრდნობით გამოთვლის, რომ **1921-1941 წლებში შინსახკომის ორგანოებმა დახვრიტა 11917 კაცი, მათ შორის, 1937-1938 წლებში — 11764.**

1998 წელს ბაქოში გამართული სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულში „საბჭოთა ტოტალიტარიზმი კავკასიაში (20-30-იანი წლები)“ ასეთი დასკვნებია მოცემული:

**1921-1938 წლებში საქართველოში დახვრეტილია 13470 კაცი, აქედან 1937-1938 წლებში — 11764.**

მაგრამ, დავუბრუნდეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ზეაღმავალ ბიოგრაფიას.

1938 წელს ლენინგრადის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს, 1941-1951 წლებში მოლდავეთის, ხაბაროვსკის ოლქის, შორეული აღმოსავლეთის შინსახკომის სამმართველოების უფროსად, სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსად მუშა-



სერგო გოგლიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი



ბაღჩო ქობულოვი, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე



ილარიონ (ვალიკო) ტალახაძე, საქართველოს პროკურორი

ობდა. 1951-1953 წლებში იყო სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი და ისევ — სსრ კავშირის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე (1953 წ. მარტამდე), დაპატიმრების დროისთვის (1953 წლის 27 ივნისი) — ამ სამინისტროს მე-3 სამმართველოს უფროსი.

სხვათა შორის, ჩეკისტი იყო მისი ოთხი წლით უმცროსი ძმა ვიქტორიც, რომელიც 1953 წელს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე გახლდათ. როგორც თავის დროზე სერგო გოგლიძე, ვიქტორიც შედიოდა ყბადაღებულ „სამეულში“, რომლის გადაწყვეტილებითაც გაუსამართლებლად ხვრეტდნენ „პოლიტიკურ დამნაშავეებს“. „1953 წლის ოქტომბერში ორგანოებიდან დაითხოვეს „სამსახურებრივი შეუფერებლობის“ გამო.

* * *

სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მიერ მოკვლეული საგამოძიებო საქმის მასალებს შორის არის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის სერგო გოგლიძის გამოსვლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1937 წლის ზაფხულში.

პლენუმი დაიწყო საქ. კპ (ბ) ცკ-ის პირველი მდივნის ლავრენტი ბერიას მოხსენებით „საქართველოში კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან ბრძოლის შესახებ“. ს. გოგლიძემ შეფის მოხსენება შეავსო. მის გამოსვლას უფრო ავბედითი სათაური ჰქონდა: **„საქართველოს კონტრრევოლუციური ორგნიზაციების მუშაობა ახალგაზრდობას შორის“.**

შინაარსითა და დანიშნულებით შემზარავი ეს დოკუმენტი ახლახან ჩამივარდა ხელთ და მინდა მეტ-ნაკლებად სრულად გავაცნო მკითხველს იმის დასტურად, თუ როგორ სდევნიდა რეჟიმი ახალგაზრდობას, ყრმათა შემუსვრის მიზნით როგორ ეძებდა მათ რიგებში „მტერს“ და დაუნდობლად სპობდა. აქვე მინდა შევახსენო მკითხველს, რომ „ორგანიზაციის ლიკვიდაცია“ უეჭველად და აუცილებლად ნიშნავდა მის სრულ განადგურებას, წევრების ფიზიკურ მოსპობას. წაიკითხეთ და თვითონ დარწმუნდებით, რა დღეც დააწიეს სკოლების, ტექნიკუმების მოსწავლეებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

ერთიც: მოხსენებაში „დამოწმებული“ ყველა „კონტრრევოლუციური საქმე“ აშკარად ყალბი, ცრუ, თითიდან გამოწოვილია, „აღიარების“ გარდა, არანაირი სამხილი არ უმაგრებს ზურგს.

გოგლიძე გამოსვლას იწყებს სავალდებულო შესავლით, რომ საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მოხსენებაში ამხ. ლ. ბერიამ ამომწურავი სისავსით გააშუქა კონტრრევოლუციური ორგანიზაციების (ტროცკისტების, მემარჯვენეების, ფაშისტების, მენშევიკების და ა. შ.) მტრული საქმიანობა და ყველა დამატებითი მასალა მხოლოდ ილუსტრაცია იქნება იმ ანალიზისა და დასკვნისა, რაც მან წარმოადგინა თავის ვრცელ მოხსენებაში, მაგრამ მე მაინც შევჩერდები ერთ განსაკუთრებულ უბანზე — კონტრრევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაზე ახალგაზრდობას შორისო.

შეკრებილთ აუწყა, რომ ტროცკისტების, მემარჯვენეების, ფაშისტებისა და სხვა მტრული ფორმირებების საქმეთა გამოძიების პროცესში დადგენილია ახალგაზრდობას შორის ანტისაბჭოთა პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელოვანი გააქტიურება. ყველა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია უმთავრეს ამოცანად ახალგაზრდობას შორის გავლენის მოპოვებას ისახავდაო და მაგალითად დაასახელა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ მსჯავრდებული ამიერკავკასიის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის **პეტრე აღნიაშვილის** ჩვენება, საქართველოს ახალგაზრდობას შორის მუშაობა ტროცკისტებისა და მემარჯვენეების კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ბლოკმა ჯერ კიდევ 1930 წელს გაშალაო.

პ. აღნიაშვილს, კერძოდ, „ულიარებია“, ჯერ კიდევ 1930 წლის ბოლოს ბესო ლომინაძე (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი — **ა. ა.**) მოსკოვში ყოფნისას ლევან ღოღობერიძის (ყოფილი თბილისის რევკომის თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — **ა. ა.**) და ვ. დარახველიძის (მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი — **ა. ა.**) თანდასწრებით მეუბნებოდა, რომ მან დავალება მისცა მალაქია ტოროშელიძეს (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, შემდეგ განათლების სახალხო კომისარი — **ა. ა.**) კონტრრევოლუციური მუშაობა გაეშალათ მოსწავლე ახალგაზრდობას შორის და ამ მიზნით შეექმნათ სპეციალური ორგანიზაცია **„საქართველოს დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირი“**. უნდა გადაებირებინათ უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები, როგორც ქალაქად ისე სოფლად, მიემხროთ წითელარმიელები. **ამ ახალგაზრდული ორგანიზაციის პოლიტიკური პლატფორმა უნდა ყოფილიყო: „ყოველი ახალგაზრდა ქართველი გახდეს თავისი ქვეყნის პატრიოტი და იბრძოლოს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებელი და თვითმყოფადი არსებობისათვის დემოკრატიული წყობით“.**

**ალეკო ასლანიშვილი**

(გაგრძელება იქნება)

**კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საექსპერიმენტო პოლიგონი**

*● წლეულს დიდი საბჭოური რეპრესიების „საიუბილეო“ წელია. „საიუბილეო“ ათვლის წერტილად რეპრესიების აპოგეა — 1937 წელია აღებული, თორემ, ფაქტობრივად, 1921 წლიდან დაწყებული, ყველა წელი „საიუბილეოა“.*

*● 1934-1938 წ. წ. „სამეულების“ განაჩენით დახვრიტეს 9528 კაცი.*

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 137-139.**

## ინფორმაცია

### ზაფხული ბაღაფშს აშინებს

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში აფხაზეთის საზღვრის გალის მონაკვეთის გამაგრებას ითხოვს.**

**ამის შესახებ ბაღაფშმა გუშინ საგანგებოდ მოწვეულ ე.წ. მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

**როგორც საინფორმაციო სააგენტო „აბხაზიასთან“ საუბრისას დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელმა კრისტიან ბჟანიამ განაცხადა, ბაღაფშმა დაავალა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს, გააძლიერონ გალის რაიონში დისლოცირებული სამსახურების მუშაობა.**

**— საჭიროა, გაძლიერდეს სასაზღვრო და საბაჟო პოსტები, რათა მათი მოქმედებები გალის რაიონში არსებული ოპერატიული ვითარების შესაბამისი იყოს. იგივე უნდა მოხდეს მდინარე ენგურზეც, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს საქართველოსა და აფხაზეთს,— განაცხადა ბაღაფშმა.**

**მანვე ყურადღება გაამახვილა საზღვრის არასანქცირებულ გადაკვეთაზეც და მკაცრი ზომების გამოყენების ბრძანება გასცა.**

**ბჟანია განმარტავს, რომ „ზაფხულის პერიოდში ქართველი კრიმინალებისგან და მეომართა დაჯგუფებებისგან მოსალოდნელი პროვოკაციების საფრთხე მკვეთრად იზრდება“.**

### საჭიროა კვალიფიციური ადვოკატები

**ქართველ ადვოკატებს კლიენტები ყველაზე ხშირად არაკვალიფიციური მომსახურების გამო უჩივიან.**

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში 2005-2007 წლებში შესული 62 საჩივრიდან, 44 არაკვალიფიციური მომსახურების, 6 მორალური შეურაცხყოფის, 2 ფიზიკური შეურაცხყოფისა და 10 სასამართლოში ადვოკატის არაეთიკური ქცევის საფუძვლით შევიდა.**

**ინტერპრესნიუსი**

# წერილი ევროპიდან

● მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას უყვარდა თქმა: კრიტიკის უფლება მაშინ გაქვს, თუ იმის ნახევარი მაინც გაგიკეთებია, ვისაც აკრიტიკებო. ბატონ აკაკის კი სტალინის ნახევრობამდე დაახლოებით იმდენივე აკლია, რამდენიც რუსთაველის ნახევრობამდე



◎ ექო

**ყოფილი პარლამენტარი (კიდევ კარგი, ყოფილი. თუმცა, რა ბედენაა) აკაკი ასათიანი ხრუშჩოვის მედალს იმსახურებს: თუ ნიკიტუშკას მტკიცებით, სტალინი რუკაში ვერ ერკვეოდა, ბატონი აკაკის ჭკუით, გენერალისიმუსი თურმე „იდიოტი“ ყოფილა:**

„პოლიტიკოსები ცოტას კითხულობენ. ახალი დროის პოლიტიკოსებიდან ბევრს სტალინი და ჩერჩილი კითხულობდნენ. სტალინი კითხულობდა ყოველდღე გამოთქმით, ჩერჩილი ფანტასტიკურ წიგნებსაც წერდა. სტალინიც წერდა, მაგრამ მისი ტექსტები იდიოტიზმია. იმდენად პრიმიტიული ენით წერს, ეგონა, სხვანაირად ვერ გაუგებდნენ. ხალხს პრიმიტივებად მიიჩნევდა...“

ამის გამო, ყველაფრის მომსწრე და გამგონე გურამ გოგიაშვილი გაკვირვებული შენიშნავს:

„სტალინი ვინ იყო და რა იყო, არც ჩემი შესაფასებელია და არც ბატონი აკაკი ასათიანისა. თანაც ამ სამოცი წლის განმავლობაში რაღა არ დაიწერა, თითქმის ყველა უარყოფითი ეპითეტი გაცვდა ხმარებისაგან, მაგრამ კარგია, რომ ახალი რამ, რაც დღემდე არც არავის დაუნახავს და არც უთქვამს, პირველმა ქართველმა დაინახა და თქვა. ღმერთმანი, ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ეს ჩვენებური კაცი, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს დედამიწის ერთ მეექვსედს მართავდა, თურმე იდიოტი ყოფილა. ხოლო ის, ოცი ტომი, რაც დარჩა, იდიოტიზმი... ღვთის წინაშე, არც ის ვიცოდი, ან საიდან უნდა მცოდნოდა, თუ „ვეფხისტყაოსანი“ აკაკი ასათიანისათვის „არ არის სიბრძნის წყარო“, რადგან იქ, „არ არის არც ერთი აფორიზმი, რომელიც სხვას არ ეთქვას. რუსთაველი არ არის ორიგინალური მოაზროვნე ამ გაგებით“. პირდაპირ მიკვირს და გამკვირვებია, მაშ, აბა, როგორღაა გრანდიოზული პოეტი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ №136, 2007 წ. 17 ივლისი).

მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას უყვარდა თქმა: კრიტიკის უფლება მაშინ გაქვს, თუ იმის ნახევარი მაინც გაგიკეთებია, ვისაც აკრიტიკებო. ბატონ აკაკის კი სტალინის ნახევრობამდე დაახლოებით იმდენივე აკლია, რამდენიც რუსთაველის ნახევრობამდე. მაგრამ აკაკი ასათიანს, ჩანს, უფლება არ სჭირდება: იგი, როგორც მადლიანი ქართული ანდაზა ამბობს, თავისუფალია.

იმას კი არ მოვითხოვ, რომ შევალამაზოთ ისტორია და ყველაფერში გავამართლოთ ისტორიული პიროვნებები, არამედ იმ ელემენტარულ პატიოსნებას, რომ არ გავაყალბოთ და ცილისწამების ლაფი არ მივასხათ ყველას და ყველაფერს. მით უმეტეს, რომ დღევანდელი გადასახედი ზოგი რამის გადაფასების საშუალებას იძლევა. ბოროტება ისტორიაში არ არის. ისტორია არქივს ბარდება და, როგორც არქივს, გაფრთხილება სჭირდება. ბოროტება ყოველთვის აწმყოშია, რადგან სატანა უკვდავია. სატანასთან ბრძოლის თავი თუ არა გვაქვს, მის წისქვილზე მაინც ნუ დავასხამთ წყალს.

ჯერ ერთი, სტალინი კითხულობდა არა გამოთქმით, არამედ დიაგონალურად, ხოლო წერდა არა „პრიმიტიული ენით“, არამედ მარტივად და ნათლად, რომ „პრიმიტივებისთვისაც“ გასაგები ყოფილიყო, რადგან პრიმიტივებსაც ხალხად მიიჩნევდა და არა ხალხს პრიმიტივებად, როგორც აკაკი ასათიანს ყველაფერი უკუღმა ჰგონია. პრიმიტივები კი ისინი ბრძანდებიან, ვისთვისაც შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს და გარეულ „მღვდლებს“ ასულელებინებენ ისედაც სულელ თავებს.

ჩერჩილი რომ დიდი პიროვნება იყო და კარგადაც წერდა, ეს სადავოდ არ მიმაჩნია, მაგრამ მისი დიდობაც უპირველესად იმაში გამოიხატებოდა, რომ იცოდა სტალინის ფასი (რაც ვერ გაიგო ჰიტლერმა და ამიტომაც ვერ გახდა დიდი), ხოლო ყველაზე ღირებული, რაც მან დაწერა, „მოგონებებია“, სადაც მოკრძალებით ლაპარაკობს სტალინზე. თუმცა მსოფლმხედველობრივად მისი მოწინააღმდეგე იყო, ღირსეული მოწინააღმდეგე.

რაც შეეხება სტალინის სახელისთვის ლაფის მისხმელებს, ისინი ყველგან ნიკიტუშკა დურაჩოკის დონის ადამიანები არიან. უცნაური კი ის არის, რომ ნიკიტუშკა დურაჩოკის მიმდევრები ავის მომასწავებლად მომრავლდნენ სტალინის სამშობლოში. საუბედუროდ, ამ ნიკიტუშკელებმა, თავიანთი ნაცეკასმდივნელი მამების მეშვეობით, ინგლისური ისწავლეს და სერიოზულად განწყობილ უცხოელ მკვლევარებს თავგზას უბნევენ გაყალბებული და მონაჭორი „ინფორმაციების“ შეჩეჩებით.

ჟურნალისტი თამაზ ებანოიძე სამართლიანად წერდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№115, 2007 წ. 21 ივნისი), საიმონ სებაგ მონთეფიორეს ახალი სიყალბის — „ახალგაზრდა ტირანის პორტრეტი“ — გამოსვლასთან დაკავშირებით:

„გასაკვირია, საქართველოს არქივში ეს „ახალი დოკუმენტები“ (ლაპარაკია კეკე ჯუღაშვილის „მსუბუქ ყოფაქცევაზე“ და სოსოს „ყაჩაღობებზე“) თუ ეწყო, რაღა ინგლისელი ისტორიკოსის ჩამოსვლას ელოდნენ, არქივის თანამშრომლებს და ჩვენს ისტორიკოსებს არ უნდა სცოდნოდათ? ვინმეს ხომ უნდა დაეგზაკვალიანებინა მონთეფიორი და „მიექსია“ ამ მასალაზე. რა, კეკეს (გელაძე-ჯუღაშვილი) მოგონებები 70 წელი არქივში თუ იმტვერებოდა, ცხრამთასიქითელის აღმოსაჩენი რა სჭირდა... „ისტორიულად“, როგორც ეს კარგად ცნობილია, დოკუმენტების განადგურებაც ხდება და გაყალბებაც. რატომ უნდა ვირწმუნოთ, რომ ინგლისელის მიერ რაღაც „სასწაულებრივი გეშით“ მიგნებული თუ გამოჩხრეკილი და მანამდე სხვათაგან „გამოტოვებული“ მასალები ნამდვილია და არა შეთხზული? რატომ არ უნდა ვთქვათ, რომ თბილისის ბანკის ძარცვის დროს სტალინი თბილისში საერთოდ არ იმყოფებოდა, რომ არც ყბადაღებულ კამოს არ მიუღია მასში მონაწილეობა... მაგალითად, როგორ უთავსდება ერთმანეთს, ერთის მხრივ, სემინარიელი რომანტიკული პოეტი და, მეორეს მხრივ, ადრეულ სიყმაწვილეში სერიოზულად დაზიანებული ფსიქიკა“.

საქმეც ის გახლავთ, ბატონო თამაზ, რომ „დააგზაკვალიანეს“ და ყალბი ცნობებით დახუნძლეს საწყალი მონტეფიორე. წინა წიგნი — „სტალინი, წითელი მეფის კარი“ — გაცილებით ობიექტური იყო, რადგან ნაკლები შეხება ჰქონდა ქართველ ინფორმატორებთან, თუმცა ამ შეხებისაგან მთლად თავისუფალი არ იყო. ამის შესახებ ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ მისი ერთ-ერთი წყარო ბ-ნი გელა ჩარკვიანი იყო:

„მინდა მადლობა მოვახსენო გელა ჩარკვიანს იმისათვის, რომ მან თავისი მამის, 1938-დან 1951 წლამდე ქართული პარტიის (იგულისხმება საქართველოს კომუნისტური პარტია - **ო.ხ.**) პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის გამოუქვეყნებელი მემუარების გადახედვის საშუალება მომცა. სიბერის ასაკში სტალინი საათებს უთმობდა თავისი ახალგაზრდობის ამბების გახსენებას, რომლებსაც ჩარკვიანს უყვებოდა...“(თავი 1, გვ.42-ის შენიშვნა, ნიდერლანდური თარგმანის მიხ.).

ტყუილია! სტალინი, ყველა ჯურის ყბედებისა და ჭორიკანებისაგან განსხვავებით, არასოდეს ფლანგავდა საათებს უსარგებლო ყოფითი ამბების მოყოლაში, მით უმეტეს, მისთვის ისეთ უმნიშვნელო პირებთან, როგორიც ბ-ნი გელას მამა გახლდათ. დიდი-დიდი ერთი ფრაზა ელირსებინა, ისიც საქმეზე და ისე, რომ დანარჩენს შენ თვითონ მიხვედრილიყავი. ასეთივე მუცლიდან ილებდა ბ-ნი საიმონი (ჩვენებურად სიმონი) წიგნში გამოქვეყნებულ ზღაპრებს მღვდელი ქრისტეფორე ჩარკვიანის „მამობისა“ და სტალინის „ადრეულ სიჭაბუკეში სერიოზულად დაზიანებული ფსიქიკის“ შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს გამოუქვეყნებელი „მემუარების“ სანდოობის საკითხიც.

რა უშლიდა ხელს ბატონ გელას თავის დროზე გამოექვეყნებინა მამის „მემუარები?“ თხუთმეტი მთავრობა გამოიცვალა და ერთს ვერ მიუსადაგა მათი სულისკვეთება?! მემუარების სარწმუნოებისათვის მნიშვნელოვანია, როდის და სად გამოქვეყნდა ისინი. სხვანაირად, გელას მემუარებთან გვაქვს საქმე და არა კანდიდ ჩარკვიანის მემუარებთან.

გელა ჩარკვიანის ლონდონში გაელჩება რომ უფრო გააცხოველებდა მის „თანამშრომლობას“ ლონდონელ მონთეფიორესთან, ჩვენ მხოლოდ შეგვეძლო გვევარაუდა, „ახალი დოკუმენტებით“ დახუნძლულ ავტორს ახალი ჭორების წიგნი ასე მალე რომ არ მიეყოლებინა პირველისათვის.

კარგი, გელა ჩარკვიანმა უთხრა, მაგრამ თუ თვითონაც არ სურდა, რატომ დაიჯერა?! ჰოდა, ფრთხილად ვიყოთ, ახლა აკაკი ასათიანიც არ აიყვანოს „ინფორმატორად!“

სტალინის დედაზე გავრცელებული ჭორები ჭორიკანა ისტორიკოსებისა და მათი თანამზრახველების სინდისზე იყოს, მაგრამ ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილის ფსიქიკის შესახებ კი დიდ ილიაზე სანდო და უტყუარი მოწმე არა გვჭირდება.

ჩვენი სასიქადულო მკვლევარი პავლე ინგოროყვა თავის შესანიშნავ ნარკვევში „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც წინასიტყვაობად ერთვის ილიას თხზულებათა 1957 წლის გამოცემას, დოკუმენტურად გვაცნობს ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილის ურთიერთობის საგულისხმო მომენტებს დიდ მწერალთან.

თუ, როგორც სწორად ამბობს პავლე ინგოროყვა, „ახალგაზრდა ს.ჯუღაშვილს შთაბეჭდილება მოუხდენია ილიაზე“, რა გასაკვირია, რომ დიდ ილიას ასჯერ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ახალგაზრდა ს.ჯუღაშვილზე?! უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შთაბეჭდილების კეთილი ნაყოფი იყო სოციალური პრობლემატიკის ეროვნულთან შეხამების იდეაც, რაც საფუძვლად დაედო შემდგომში, რუსულ-უნიტარული სოციალისტური სახელმწიფოს ნაცვლად, ეროვნულ-სოციალისტური საბჭოთა კავშირის შექმნას და რამაც მასში შემავალი მცირე ერების ენებისა და სახელმწიფოებრიობის გადარჩენა განაპირობა.

სოციალისტური და ეროვნული იდეალების შერწყმა, რაც არსებითად განასხვავებდა მას არა მარტო მარქსის კოსმოპოლიტური სოციალიზმის, არამედ აგრეთვე რუსი სოციალ-დემოკრატების რუსულ-უნიტარული სოციალიზმის მოდელისაგან, ილიას იდეა იყო, რომლის გამო უთანხმოება ჰქონდა, ერთის მხრივ, ქართველ სოციალ-კოსმოპოლიტებთან, ხოლო მეორეს მხრივ, ფეოდალ-პატრიოტებთან. და ახალგაზრდა სტალინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არჩევანი ილიას კონცეფციაზე გააკეთა.

მარქსიზმში ადგილი არ იყო ეროვნული საკითხისათვის. სტალინი პირველი და ერთადერთი თეორეტიკოსი იყო, ვინც მასში ყურადღება გაამახვილა ეროვნულ საკითხზე. მისი სტატია „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“ ერთადერთი კუნძული იყო მარქსისტული ლიტერატურის ოკეანეში. და ეს კუნძული საფუძვლად დაედო არა მარტო ეროვნულ საქმეთა სახალხო კომისრად მის დანიშვნას, არამედ აგრეთვე „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური“ საბჭოთა კავშირის შექმნის იდეას, რაც სულაც არ გამოხატავდა ლენინის, ტროცკისა და ბუხარინის სულისკვეთებას.

ცნობილია სტალინის აზრიც ილიას შესახებ: კითხვაზე - თქვენ უფრო დიდი პიროვნება ხართ თუ ილიაო, ბელადმა უპასუხა: მე საბჭოთა კავშირს ვმართავ, ილიას კი შეეძლო მთელი მსოფლიო ემართაო. და შემთხვევითი სულაც არ არის, რომ როგორც კი მან კრემლის ტროცკისტ-„კოსმოპოლიტთა“ და რუს-შოვინისტთა ურჩხულებთან ბრძოლის შემდეგ სული მოითქვა, პირველი, რაც ბრძანა, ვაიქართველების მიერ შეგინებული რუსთაველისა და ილიას სახელების რეაბილიტაცია იყო.

ამიტომ სავსებით მართებული და ლოგიკურია ისტორიკოს ვახტანგ გურულის დასკვნა: „ილიასთან და „ივერიასთან“ ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ იოსებ ჯუღაშვილი ილიას წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში არასდროს გარეულა, არასდროს თავი არ შეურცხვენია ერის სულიერი მამის ნააზრევისა და ნაღვაწის განქიქებით“ (იხ. მისი „ილიადან ილიამდე“, გვ.64).

თუმცა არიან ისტორიკოსები, რომლებიც, სტალინის პათოლოგიური სიძულვილის გამო, სადავოდ ხდიან ამ ცხად ჭეშმარიტებასაც. გურამ ყორანაშვილის უსაბუთო და ცილისმწამებლური მსჯელობით, მაგალითად, „ვ. გურულსა და მისთანებს თავი ოდნავ მაინც რომ შეეწუხებინათ და საკითხს სერიოზულად მისდგომოდნენ, მსგავს რიხიან განცხადებას ვერ გააკეთებდნენ და ისინი „ხალხთა ბელადის“ მიერ ილიას სახელის ნაწილობრივ რეაბილიტაციას (1934-1937 წლებში) სხვანაირად ახსნიდნენ“ (გაზ. „ახალი 7 დღე“ №10, 2007 წ. 16-23 მარტი). ბ-ნი გურამი ისეა თეთრის შავად დანახვის და დანახვების სურვილით შეპყრობილი, რომ ვერ ამჩნევს, კურიოზულ წინააღმდეგობაში რომ იგდებს თავს: „მცდარია ისიც, რომ თითქოს 1934 წლამდე ილიას სახელზე ტაბუ იყო დადებული(გვ.79). სინამდვილეში მაინც გამოიცემოდა მისი ნაწარმოებები, მის სახელს ხშირად მოიხსენიებდნენ (ცხადია, უარყოფით კონტექსტში) ავადმოსაგონარი ფილიპე მახარაძე და „ძმანი მისნი“ (იქვე).

ამ „არგუმენტმა“ ერთი ბრეჟნევისდროინდელი ანეკდოტი გამახსენა: ამერიკელი ეტრაბახება საბჭოელს, ისეთი დემოკრატია გვაქვს, შემიძლია, რამდენიც მინდა, ვლანძღო რეიგანიო. საბჭოელი მიუგებს, მაგ მხრივ ჩვენთანაც დემოკრატიაა, რამდენსაც მინდა, ვლანძღავ რეიგანსო.

„ტაბუ“ ზემოხსენებულ ფრაზაში ილიას დადებით კონტექსტში ხსენებას გულისხმობდა და არა უარყოფით კონტექსტში ხსენებას. მაგრამ სიძულვილს, რაგინდ უგუნურიც იყოს, ვერავის დაუშლი. ოღონდ ეს კია, იგი ცუდი მრჩეველია ისტორიკოსისათვის. ეგეც არ იყოს, სიძულვილსაც თავისი დრო აქვს: ასეთი შარები, სულ ცოტა, ჩვიდმეტიოდე წლის წინათ რომ მოგვესმინა, შესაძლოა, ჩვენც გაგვეზიარებინა.

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე**

# კრიტიკის უფლება მაშინ გაქვს, თუ იმის ნახევარი მაინც გაგიკეთებია, ვისაც აკრიტიკებ...

● არ ჰგავს ეს ფემინიზაციის პროცესის დაჩქარებას. არც ქალის როლის ობიექტურ ზრდას.
სხვა რალაცაა. ბევრად უფრო საშიში, ვიდრე შინაბერებისა და ბერბიჭების მომრავლება



◎ რეკლამა და ჩვენ

# გაბრიყვებული მომხმარებელი

**რეკლამა, ისევე როგორც ნებისმიერი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, მრავალფეროვანია. სამწუხაროდ, დღეს ხშირად რეკლამას უკეთებენ არც თუ ისე მაღალხარისხოვან პროდუქციას, როგორ გავარჩიოთ ინფორმაცია, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო ცნობას შეიცავს, ყალბი რეკლამისაგან? ეს არც თუ ისე იოლი საქმეა. მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხები ერთი, ჩვეულებრივი მომხმარებლის პოზიციიდან.**

ძალიან ხშირად მზესუმზირის ზეთებს, რომლებითაც გავსებულია ჩვენი დახლები, აქვთ წარწერა – „არ შეიცავს ქოლესტერინს“ (ან „ქოლესტერინის გარეშე“ძ. ჩვეულებრივ მოკვდავს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ ეს არის განსაკუთრებული, მაღალხარისხოვანი პროდუქცია, ამიტომ ცდილობს სასწრაფოდ შეიძინოს ასეთი სასარგებლო რამ. საქმე აქ ძალიან მარტივადაა. დიახ, ნებისმიერი მცენარეული წარმოშობის ზეთი არ შეიცავს ქოლესტერინს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქოლესტერინი ცხოველური წარმოშობის ცხიმია, და, რა თქმა უნდა, მცენარეული წარმოშობის პროდუქციაში არ იქნება ცხოველური წარმოშობის ნაერთი. ამიტომაც არის ის ორგანიზმისთვის კარაქზე უფრო სასარგებლო. რა არის ეს? ტყუილი? რა თქმა უნდა, არა. ეს არის გადმოტრიალებული – უკუღმა სიმართლე, რათა ზემოქმედება მოახდინოს მომხმარებელზე, მასში აღძრას ამ პროდუქციის შეძენის სურვილი, რაც არის კიდევაც რეკლამის უმთავრესი მიზანი.

მეორე მაგალითი. ქაღალდის პაკეტს აწერია „100-პროცენტიანი ნატურალური წვენი, დანამატების, (კონსერვატებისძ გარეშე“. ტექნოლოგებს (და თვით ჩვეულებრივ მოქალაქეებსძ კარგად მოეხსენებათ, რომ ქაღალდის პაკეტებში წვენების შენახვა თვით რამდენიმე დღითაც კი (!ძ, კონსერვანტების გარეშე შეუძლებელია, მაცივარშიც ვერ შეინახავთ დიდხანს ნებისმიერ პროდუქტს და ა. შ.

ზოგჯერ იმისათვის, რომ მყიდველის ყურადღება მიიპყროს, რეკლამა სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა, მაგრამ დასკვნები კეთდება არასწორი. ამის ტიპიური მაგალითია საღეჭი რეზინის რეკლამა. „ქსილიტის შემცველობის მქონე საღეჭი რეზინა დაიცავს თქვენს კბილებს... კარიესისაგან“. დიახ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ კბილებისთვის ქსილიტი შედარებით ნაკლებად მავნებელია, ვიდრე შაქარი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქსილიტის შემცველ საღეჭ რეზინას შეუძლია ჩვენი კბილების დაცვა კარიესისგან. სტომატოლოგების აზრით, საღეჭი რეზინა უმნიშვნელო როლს ასრულებს ჩვენი კბილების კარიესისგან დაცვის საქმეში. მისი გამოყენების დროს ხდება ნერწყვის ინტენსიური გამოყოფა, რაც აადვილებს საჭმლის ნარჩენების მოშორებას კბილების ზედაპირიდან. თუ ერთმანეთს შევადარებთ კბილის გაწმენდის სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად ჯაგრისით, ან ინტენსიური წყლის ნაკადით პირის ღრუს გამოვლებას, ან კიდევ მკვრივი ბოსტნეულის ან ხილის მიღებას (მაგ. ვაშლისძ ჭამის შემდეგ, თავისი ზემოქმედების მიხედვით საღეჭი რეზინა ბოლო ადგილს დაიკავებს. ასე რომ, იქნებ უბრალოდ გაგვეწმინდა კბილები?!

ხშირად მსხავსი ხერხია გამოყენებული, მაგალითად, ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნების რეკლამირების დროს. შამპუნებში შემავალი კომპონენტები ნამდვილად ხელს უწყობს თავის კანიდან დიდი რაოდენობის ქერტლის ფანტელების მოშორებას (რა თქმა უნდა, თუ ეს შამპუნი ფალსიფიცირებული არ არისძ. ერთი შეხედვით რეკლამა სიმართლეს ღაღადებს. დაიბანეთ ასეთი შამპუნით თავს და ქერტლის ნასახიც არ დაგრჩებათ. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ქერტლი ისევ შეგახსენებთ თავს. რა ხდება? საქმე ისაა, რომ შამპუნით ქერტლი არ იკურნება. ქერტლი – ეს სოკოვანი დაავადებაა, რომელიც საჭიროებს ხანგრძლივ მედიკამენტოზურ მკურნალობას სპეციალისტის კონტროლით.

ამ ბოლო დროს მთელი სარეკლამო კამპანია გაჩაღებული ე. წ. „შლაკების“ წინააღმდეგ. გთავაზობენ გახდომის საშუალებებს, სხვადასხვა სახის მცენარეულ ჩაის და საკვებ პროდუქტებს, როგორც საუკეთესო საშუალების ტოქსინების და შლაკების მოსაშორებლად. რას წარმოადგენს ეს ნარჩენი და უსარგებლო ნაერთები? ის არის ორგანიზმისთვის სრულიად ზედმეტი და მავნე წარმონაქმნი. სკოლის ბიოლოგიის კურსიდან ვიცით, რომ ორგანიზმიდან ცხოველმოქმედების პროდუქტები გამოიყოფა სხვადასხვა ორგანოს მიერ. მაგ. თირკმელები მონაწილეობს წყლის და მარილების გამოდევნაში, ღვიძლში ხდება ცხიმოვან ნაერთთა გადამუშავება და დაშლა. ფერმენტები შლის ცილებს, ნახშირწყლებს, ანუ ყველაფერი გაწონასწორებული და დაბალანსებულია. ხდება, როგორც ახალ ნაერთთა წარმოქმნა, ასევე მიღებული საკვების მოხმარება, დაშლა და ზედმეტი მასების გამოყოფა. ანუ, როცა ორგანიზმი ნორმალურად ფუნქციონირებს, მასში ზედმეტი არაფერი არ უნდა გროვდებოდეს და არც გროვდება. თუ დაგროვება ხდება, ე. ი. ორგანიზმი წონასწორობის მდგომარეობიდან გამოდის და იწყებს არასტაბილურ რეჟიმში მუშაობას, ანუ ავადდება.

იხ. 8 გვ.

№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

◎ აფორიაქებული განწყობით

# ტანი პატარაა, თავია დიდი

**მეხსიერებას არ ვუჩივი.**

**ორმოცი წლისწინანდელი ამბები მახსოვს დღევანდელივით.**

**ახლოჟამინდელი მით უმეტეს.**

**მაგონდება:**

**საქართველოს პარლამენტში განათლებაზე კანონის განხილვისას გაჩნდა ეჭვი, რომ სახელმწიფო და კომერციული სასწავლებლების თბილისში თავმოყრა ერთობ უხერხულ ვითარებას შექმნიდა.**

**თბილისს მოაწყდებოდა ახალგაზრდების უდიდესი ნაკადი.**

**ეჭვი არ იყო უსაფუძვლო.**

დაუჯდა ვილაცას ჭკუაში. არ უფიქრია ბევრი. თითქმის ყოველ რაიონში, დაბაში, მოზრდილ სოფელში გაჩნდნენ კომერციული სასწავლებლები, ფილიალები.

თბილისს მაინც არაფერი ეშველა.

დაემსგავსა თავკომბალას.

დიდი თავით;

პატარა ტანით.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასახლებული დევნილების ნელ-ნელა დედაქალაქში გადმონაცლების ხარჯზე;

სოფელში უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის მოქალების გამო, რომლებისთვისაც დედაქალაქი მარჩენალ წყაროდ ამოიფრქვა.

განსაკუთრებით მანდილოსნებისთვის.

დადიან ისინი ქუჩა-ქუჩა. სხვების გამომცხვარ ხაჭაპურებს დაატარებენ გაშვერილი ხელებით.

დღეში ლარნახევარს, ორ ლარს აგროვებენ. მეტ წილს სოფელში უგზავნიან მათ იმედად დარჩენილ ქმარ-შვილს.

ის, თუ როგორ ირჩენენ თავს ლარით, სად სძინავთ, საგნობრივად სცილდება სოციალურ სფეროს.

ზნეობრივ ხასიათს იძენს.

სწრაფად ცვლის დემოგრაფიულ სურათს.

გავრცელდა მსოფლიო ბანკის ცნობა, რომ ქართველობას



დიდი საშიშროება ელის.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თურმე გადაშენება გველის.

ატყდა განგაში ისე, თითქოს ეს ახალი ამბავი ყოფილიყო.

მსოფლიო ბანკის ცნობა თვალით არ მინახავს.

ერთი რამ ვიცი უცილობლად:

შინაურ მღვდელს არა აქვს შენდობა.

აგერ ცოცხალი მაგალითი:

ცნობილი მეცნიერი, დემოგრაფი ანზორ თოთაძე ამ ნახევარი წლის წინათ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" წერდა, ორი დემოგრაფიული თაობის შემდეგ საქართველოში ქართულად მოლაპარაკე აღარავინ დარჩებაო.

ხმა არავის ამოუღია მაშინ.

ორიოდე სიტყვა შევაშველე იმავე გაზეთში. მაგალითი მომყავდა ცნობილი, ხალხმრავალი სოფლიდან, სადაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ერთ კვადრატულ კილომეტრზე არც ერთი ახალი კომლი არ შექმნილა.

არავინ გათხოვილა, ცოლი არავის შეურთავს.

დარჩა ბევრი შინაბერად.

ბერბიჭად.

ქვეყნის უბედურებად.

ჩვევად მაქვს:

აგვისტოს რამდენიმე დღეს მშობლიურ სოფელში ვატარებ.

იქ ყოფნისას ფრჩხილიც არ წამომტკივდება.

ვჯეელდები თითქოს.

მარტო კარგი წყლის, სასუქებით დაუბინძურებელი საკვების, სუფთა ჰაერის მადლი არ არის ეს.

სხვა რაღაცაა.

ძნელად სახელდასარქმევი.

გასულ ზაფხულს ძალიან დაცხა ჩემი იქ ყოფნის ჟამს.

ხოზისწყალს მივაშურე ძმისწულთან ერთად.

დავჯექით ჩეროში.

მოვითქვით სული.

ლაპარაკში გართულს პაპუნამ თვალებით მანიშნა რაღაც.

გავხედე მინიშნებულ მხარეს.

ჩვენგან ორიოდე მეტრში ორმოციოდე წლის კაცი აბანავებდა ბავშვს. გასაპნა კარგად. ჩააყურყუმალავა რამდენიმეჯერ მდინარის ტალღებში. ხელში აწატებული გამოიყვანა ნაპირზე.

მოუტეხა თხმელის ფოთლები. დაუფინა დიდ ქვაზე. დასვა ზედ მზის გულიდან მოფარებულად.

მიბრუნდა მდინარესთან. ბავშვის თეთრეული ამოავლო ცივ წყალში. საპონიც მიაშველა. კარგად გაწურა. გაფინა გასაშრობად.

მოზრდილი მორევიც იყო იქ.

სავსე პატარებით.

ახალგაზრდებით.

ხანდაზმულებითაც.

თითქოს არავის არაფერი დაუნახავს.

ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ ასეთ მამაკაცს ახლოს არ გაიკარებდა თავმომწონე კოლხი.

შეიძლება სალამიც არ ეთქვა ბევრს.

ახლა ვითომ არაფერი.

შელავათით სარგებლობდა „ბავშვის მოვლას გადაყოლილი“ მამა.

დიდი ხანია ცოლი ჰყავს თბილისში გაშვებული. შვილს მამა პატრონობს.

ისიც გოგონას.

ეს გამონაკლისი არ არის.

ერთხანობაას ჩემი უფროსი და მაკითხავდა თბილისში. მეორე დღეს ბაზარში უნდა გასულიყო უსათუოდ.

გასაყიდად არაფერი ჩამოჰქონდა, არც არაფრის ყიდვას აპირებდა. დიდი ხნის უნახავი მეზობლების ნახვას ეშურებოდა აქ. ყველასთვის ჰქონდა ჩამოტანილი ამბავი. ვის ქმარს ჰქონდა უკეთესი ბოსტანი, ვის უკვე უმწიფდა საადრეო პომიდორი.

მისი ნალაპარაკევი მაგონებდა გადაბრუნებულ დედამიწას.

ცას ქვევით დაგდებულს, მიწას კიდევ ცაში ატყორცნილს.

ბავშვის თეთრეულის რეცხვით გართული კაცის დანახვამ გამახსენა ეს ამბავიც.

ადამიანების ფსიქოლოგიაში შეიცვალა რაღაც.

ძალიან დიდი.

მნიშვნელოვანი.

განსაკუთრებული.

არ ჰგავს ეს ფემინიზაციის პროცესის დაჩქარებას. არც ქალის როლის ობიექტურ ზრდას.

სხვა რაღაცაა. ბევრად უფრო საშიში, ვიდრე შინაბერებისა და ბერბიჭების მომრავლება.

ჩემი ნება რომ იყოს, შერყეულ ფსიქიკას დავარქმევდი, გონების გაბერწების შესავალს.

ვიცი:

ასეთი ტერმინი არც ფსიქოლოგიაში არსებობს, არც ფილისოფიაში, მაგრამ სოფელში ნანახისნაირი „მზრუნველი მამების“ მომრავლების კვალობაზე, ესეც შეიძლება გაჩნდეს..

საქართველოს ტანი კვლავ პატარა აქვს, თავია დიდი.

**როზერტ ძერია**

# დღევანდელობა

არაერთი დეპუტატი ხალხისა თუ ქვეყნის სამსახურში, ღმერთმა შეარგოთ და, თვალსასეიროდ ჩათბუნდა, ჩაქონიანდა, ჩამრგვალდა და გაფაშფაშდა. ფრაქციად ჩამოყალიბებას მინიმუმ 10 წევრი სჭირდება, მრგვალთა რიცხვი კი ამ ნორმას ბევრად აღემატება. აი ასეთები რომ შეიკრიბონ და ფრაქციად გაერთიანდნენ (ხელმძღვანელის არჩევა მათთვის მიმინდვიაძ, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო



**რეკლამა და ჩვენ**

# გაბრიყვებული მომხმარებელი

**(მეშვიდე გვერდიდან)**

თუ ადამიანი ასეთ მდგომარეობაში ვარდება, მაშინ მას ვერავითარი საკვები დანამატი ვერ უშველის და საჭირო ხდება ინტენსიური და სერიოზული მედიკამენტური მკურნალობა სპეციალისტების მუდმივი კონტროლით (დისპანსერიზაცია, ან წოლითი რეჟიმი, ან ქირურგიული ოპერაცია და ა. შ.ძ. ასე რომ, ვიღაცას დასჭირდა ლეგენდების შექმნა შლაკების შესახებ თავისი პროდუქციის გასაღების მიზნით, და ის შეიქმნა!

ან კიდევ ასეთი ჩვეულებრივი მოვლენა: ამ ბოლო დროს მაღაზიების დახლები გაივსო სხვადასხვა დასახელების და შემცველობის კარაქით და მომხმარებელიც ყიდულობს გაცილებით იაფ ე. წ. კარაქს, არადა, თუ ყურადღებით წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ ეს პროდუქტები შეიცავენ მცენარეული წარმოშობის ცხიმებს, ანუ გვაქვს ჩვეულებრივი მარგარინი კარაქის სახელწოდებით.

ამიტომ მოტყუებული და პირში ჩალაგამოვლებული რომ არ აღმოვჩნდეთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავიმახსოვროთ მთავარი წესი: ყურადღება მივაქციოთ გასაყიდად გამოტანილი პროდუქციის შემადგენლობას. ეს განსაკუთრებით ეხება ჩაისა და ბიოდანამატების სახეობებს. **კეთილსინდისიერი მწარმოებელი ვალდებულია, ეტიკეტზე აღნიშნოს პროდუქტში შემავალი ნივთიერებები და მათი რიცხობრივი ან პროცენტული შემადგენლობა.** ეს ეხება ყველა სახის პროდუქციას (ტანსაცმელს, საოჯახო მოხმარების ნივთებს, საშენ მასალებს და ა. შ.ძ. თუ პროდუქტს ასეთი ეტიკეტი (სადაც მითითებულია ფირმის სახელწოდება, დამზადების ადგილი, პროდუქტის შესახებ დაწვრილებითი მონაცემები, ვარგისიანობის დრო, დამზადების თარიღი და ა. შ.ძ არა აქვს, მაშინ ასეთი პროდუქტი არ უნდა შეიძინოთ!

როგორ განვასხვავოთ იაფფასიანი რეკლამა სასარგებლო ინფორმაციის შემცველი რეკლამისაგან? ეს არცთუ ისე ადვილი საქმეა, რადგან ფირმების უმეტესობას ეს ხელოვნების დონეზე აქვთ აყვანილი. თუმცა სულ უიმედოდაც არ არის საქმე. დავიწყოთ მათემატიკური თეორიის დამტკიცების მეთოდის გამოყენებით. დავუშვათ — პირიქით. ჩამოვთვალოთ იაფფასიანი რეკლამების ზოგიერთი გავრცელებული და დამახასიათებელი ნიშან-თვისება. მაგ, ასეთი ტიპის სამკურნალო პრეპარატი აუცილებლად იქნება შემკობილი შემდეგი სიტყვით: „უნიკალური“, „შეუდარებელი“, „ახალი სიტყვა“, „ყველაზე ეფექტიანი“ და ა. შ. ასეთი წამლების შესახებ ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ის არაჩვეულებრივ ეფექტს იძლევა ნებისმიერი დაავადების დროს — გრიპიდან დაწყებული კიბოთი დამთავრებული. არადა, ნებისმიერი ნამდვილი სამკურნალო პრეპარატის მოქმედების არეალი საკმაოდ ვიწრო და სპეციფიკურია, რათა მის მოხმარებისას ნაკლები იყოს გვერდითი მოვლენები. შთაბეჭდილების გაზრდის მიზნით ყოველთვის ამატებენ, რომ „ბუნებრივი“ წარმოშობისაა“ და „მისი ნედლეული განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს“. ასეთი ტიპის რეკლამების ანოტაცია თითქმის ყოველთვის მთავრდება ფრაზით, რომ მას გვერდითი მოვლენები არ გააჩნია. ოო, ეს უკვე მეტისმეტია, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს! ნამდვილი მედიკამენტების ანოტაციაში აუცილებლად აღნიშნულია, რომ მან გაიარა კლინიკური გამოკვლევები, რომ წამლის მიღებამდე აუცილებლად საჭიროა მკურნალი ექიმის კონსულტაცია და ასევე აუცილებლად უნდა იყოს ხაზგასმით მითითებული, თუ რა ტიპის პაციენტებისთვის არ არის რეკომენდებული; მაგ. ორსული ქალებისთვის, 12 წლამდე ბავშვებისთვის და ა. შ.

ანუ, იმისათვის, რომ გავერკვეთ, საჭიროა გონების მოხმარება. დღეს homo sapiens-ს ტვინის ჭყლეტა ისე სჭირდება, როგორც არასდროს. აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რა ხდება მეცნიერების სამყაროში, ვეცნობოდეთ მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას. ზოგჯერ არც ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის საშუალო სკოლის სახელმძღვანელოების კითხვა და სკოლაში მიღებული ცოდნის გახსენება გვაწყენდა, პლუს ცხოვრებისეული გამოცდილება, კეთილგონიერება, ანუ ინტელექტი და სიბრძნე, რადგან ცოდნა, მართლაც რომ, ძალაა.

**მედეა თავდიშვილი,**
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

***P. S. ომარ ხაიამი წერდა: „ცხოვრებისეული სიბრძნე შემდეგია — ნებისმიერ შემხვედრს მეგობრად ნუ გაიხდი და რაც ხელში მოგხვდება, ყველაფერს საკვებად ნუ ჩათვლი“. ანუ, ადამიანებო, იყავით ფხიზლად!***

*მ. თ.*

**ინფორმაცია**

## ერთი და იმავე დანაშაულისთვის რამდენჯერმე იჭერენ

**საქართველოს სახალხო დამცველი სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლს აპროტესტებს, რომლის მიხედვითაც სასამართლოს მიერ ავადმყოფობის გამო გათავისუფლებულ პატიმარს სასჯელი გამოჯანმრთელების შემდეგ ხელმეორედ ენიშნება.**

**როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იტყობინებიან, კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციას, რომელთა მიხედვითაც, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისთვის.**

**სახალხო დამცველმა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიციატივით პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელს ლევან ბეჟაშვილს მიმართა.**

**ინტერპრესნიუსი**

**ფიქრებწაღებული**

# „იდეებ რა ვუყო“!..

**განა არ ვიცი, რომ სწორი იქნებოდა „იდეებს რა ვუყო“, მაგრამ ეს ფორმა იმ კახელის ხათრით ავირჩიე, ვინც პირველად თქვა ასე...**

***იდეა პირველი.*** პარლამენტის ზოგიერთმა ფრაქციამ, მგონი, საკუთარი თავი ამოწურა. წინადადება შემომაქვს, „ახალი საპარლამენტო წლიდან“ ახალი ფრაქციების შექმნაზე იზრუნონ, მაგალითად, ასეთისა: „ქონწაღებულნი“.




საქმე ის არის, რომ არაერთი დეპუტატი ხალხისა თუ ქვეყნის სამსახურში, ღმერთმა შეარგოთ და, თვალსასეიროდ ჩათბუნდა, ჩაქონიანდა, ჩამრგვალდა და გაფაშფაშდა. ფრაქციად ჩამოყალიბებას მინიმუმ 10 წევრი სჭირდება, მრგვალთა რიცხვი კი ამ ნორმას ბევრად აღემატება. აი ასეთები რომ შეიკრიბონ და ფრაქციად გაერთიანდნენ (ხელმძღვანელის არჩევა მათთვის მიმინდვიაძ, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო. სალაპარაკო-სამსჯელო, გაგიხარიათ, ბლომად ექნებათ— თუნდაც სადიეტო პროგრამის შემუშავება, ქონწაღებულთა მოძრაობის გამოცხადება („მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა, ჩემო თერგო“, გახდომის უებარი საშუალებაძ, გაბღენძვით სიარულისა და ტელეკამერების წინ ბრეძის შემდგომი სრულყოფა და სხვა...

***იდეა მეორე.*** ახლა მოდაშია მოხელეთა (იმავე ჩინოვნიკთაძ ჯგუფური დაპატიმრება: დაანიშვნინებენ ან მოაწევვინებენ თათბირს, შეიჭრებიან დარბაზში და ბაც — წავიდა ხელბორკილების ჟღარუნი... ჩემი წინადადებაა, გამოარკვიონ, თუ სად და როდის აქვთ კრიმინალურ ელემენტებს (ყაჩაღებს, ბანდიტებს, კანონიერ ქურდებს, უკანონო ქურდებსძ „სხოდკა“ (გამორკვევა თუ შეტყობა შეიძლება იმათ რიგებში საკუთარი აგენტების ჩანერგვით), შეუვარდნენ „ფორუმზე“ და ბაც! ბაც! — გაბაწრონ; თორემ ნამეტანი გახშირდა დღის-მზისობით სისხლიანი ყაჩაღური, „საჯარო“ და გაუხსნელი თავდასხმები...

***იდეა მესამე.*** ძალიან მოდური გახდა რეფორმატორული ინტეგრაციული პროცესები — აერთიანებენ საბავშვო ბაღებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ბაზრობებს... ხომ არ დადგა დრო ვიფიქროთ ასე მომრავლებული შოუების, თოქ-შოუების, რეალითი-შოუების გამსხვილებაზეც? გვინდა თუ არა ამდენი ვანიკოს შოუ, ნანიკოს შოუ, შუადღის შოუ, საღამოს შოუ, ღამის შოუ, ავთოს შოუ, დათოს შოუ, ცოცხალი შოუ, მკვდარი შოუ, ნახევრადმკვდარი შოუ?... დათა თუთაშხიასი არ იყოს, ფიქრი სჭირია ამას...

***იდეა მეოთხე.*** ჩვენმა მდიდარმა ტელეარხებმა და ტელეკომპანიებმა ვინ გინდა და სად გინდა, რომ არ მიავლინონ: თეთრ სახლში და ელისეს მინდვრებზე, ეგვიპტის პირამიდებთან და აფრიკის ჯუნგლებში, ისლანდიის გეიზერებსა და ნიაგარის ჩანჩქერთან, სირაქლემებისა თუ ნიანგების ფერმებში, არაფატის დაკრძალვაზე თუ სარკოზის ინაუგურაციაზე... ჩვენი ყოჩაღი ტელეჟურნალისტები ვისაა და რასაა, რომ არ სწვდებიან და ღია ეთერში არ გამოჰყავთ — თუ მოესურვათ, ჩრდილოეთ პოლუსიდან აალაპარაკებენ თეთრ ძუ დათვს, მარტოხელა რომ ზრდის ორ ბელს... თქვე კაიხელფასიანებო, რუსეთული მასმედია რომ ასე მტრულადაა განწყობილი საქართველოსა და ქართველების მიმართ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო რომ ასე გვიტევს, მოსკოვის მერი, თითქოს ჩვენი სახელოვანი ხელოვანის, ზურაბ წერეთლის ახლო მეგობარი, ასე რომ გვმტრობს — ერთხელ, ორჯერ, სამჯერ რუსეთშიც „მიევლინეთ“, შეეცადეთ მდგომარეობის გამოსწორებას, რუსეთელ ჟურნალისტებთანაც მოაწყვეთ ტელეხიდი და „პერეკლიჩკა“, შეეცადეთ საერთო ენის გამონახვას... განა ჩემზე უკეთ არ უნდა გესმოდეთ, რომ ურუსეთოდ, როგორი ვერაგიც არ უნდა იყოს ეგ ქვეყანა, ჩვენი ცხოვრება „ვაჰმე, რა დიდად ძნელია“?..

**იდეებ-მეტი რა მაქვს, მაგრამ დანარჩენი სხვა დროს იყოს...**

**თამაზ ებანოიძე**

**გვწერენ**

## ყველაფერი ხელს გააყოლეს!

**გაჭირვებამ მშობლები ქუჩაში, ბაზრობებზე გამოფინა, ბავშვები კი საკუთარ „საქმიანობას“ — წვრილმან ქურდობას დაეწაფნენ.**

თბილისის სხვა რაიონებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გლდანის რაიონში რომ მოზარდებმა ჯართის შემსყიდველი პუნქტები „დაიპყრეს“, ცხადზე უცხადესია. 7-8 წლის ბავშვებმა ლამის გაგვცალეს ყოველგვარი რკინალითონის ნაკეთობებისგან, არ შეგვარჩინეს სადარბაზოს კარები, რკინის ღობეები, სადაც რა მოხვდებათ, ყველაფერს ხელს აყოლებენ. არც რადიოხაზები შეგვარჩინეს და უზარმაზარი რაიონი რადიომაუწყებლობის გარეშე დარჩა!

კანალიზაციის ჭების მძიმე სახურავების ქურდობა ხომ სავალალო ტრადიციად დამკვიდრდა.

რა ვქნათ, როგორ მოვუაროთ მოზარდთა ასეთ გავრცელებულ დანაშაულს, და როგორ აღმოვფხვრათ სულის ეს სიღარიბე, ვინ დავსაჯოთ, ვის დავაბრალოთ?

ერი და ბევრი უნდა გამოფხიზლდეს! გამოვიჩინოთ განსაკუთრებული ყურადღება უმუშევრად დარჩენილი, უმწეო ოჯახებისადმი, რეალურად დავეხმაროთ ყველა გაჭირვებულს, მიზამიმართულად ვიმუშაოთ თითოეულ მოზარდთან, ძნელადაღსაზრდელებთან, თორემ... მომავალი აღარ გვექნება.

**დოდო ზურაბიშვილი**

# შეხლოური პრესა

• როგორც მანამდე აცხადებდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში, ისევე როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში განხორციელებული წარმატებული რეფორმები საქართველოს მისცემს იმის საშუალებას, რომ 2008 წელს მიიღოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კეთილი ნების ვიზა




**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დათბობა დაიწყო. 19 ივლისს მოსკოვმა გამოაცხადა, რომ აუქმებს შეზღუდვებს საქართველოს მთელი რიგი კატეგორიის მოქალაქეებისათვის ვიზების გაცემაზე. ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ იგეგმება რეგულარული საავიაციო მიმოსვლის განახლება, რომელიც 2006 წლის ოქტომბერში შეწყდა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უაღრესად გამწვავდა შარშან შემოდგომაზე, როცა თბილისში ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს ოთხი რუსი ოფიცერი.**

რუსეთის საელჩოში გვითხრეს, რომ 19 ივლისიდან საკონსულო განაახლებს საქართველოს მოქალაქეებისათვის სასწავლო, საქმიანი, სამუშაო და სატრანზიტო ვიზების გაცემას.

„ასეთი გადაწყვეტილების მიღება ნაკარნახევია იმით, რომ რუსეთის მხარეს სურს მიაღწიოს სტაბილურობას ორი ქვეყნის ურთიერთობაში. ვიტოვებთ იმედს, რომ ქართული მხარეც გადადგამს შემხვედრ კონსტრუქციულ ნაბიჯებს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით“, — ხაზგასმულია რუსეთის ფედერაციის საელჩოს ოფიციალურ ინფორმაციაში.

ახლა შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ რუსეთში ტურისტული ვიზების გაცემაზე. მანამ, სანამ ორი ქვეყნის ურთიერთობა გართულდებოდა, რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის ყოველწლიურად გასცემდა დაახლოებით 100 ათას ვიზას. ქართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოთქვამენ ოპტიმიზმს, რომ მალე ბოლო შეზღუდვაც მოიხსნება. თუმცა, რუსეთის საელჩოში გვითხრეს, რომ „ჯერჯერობით ტურისტული ვიზების გაცემის საქმეში რაიმე დადებითი ძვრები მოსალოდნელი არ არის“.

ჯერ კიდევ მაისის დამლევს რუსეთის საკონსულომ განაახლა ვიზების გაცემა საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებმაც წარადგინეს კერძო მიწვევები ნათესავებისგან — რუსეთის მოქალაქეებისგან, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ რუსეთში დროებითი ცხოვრების უფლება. მანამდე კი ვიზებს გაცემა ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანიტარული მოსაზრებიდან გამომდინარე.

მაშინ ეს საქართველოში დაუკავშირეს პრეზიდენტების ვლადიმერ პუტინისა და მიხეილ სააკაშვილის მომავალ შეხვედრას, რომელიც უნდა გამართულიყო სანქტ-პეტერბურგში, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არაფორმალური სამიტის ფარგლებში, აგრეთვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რიგებში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებით მომავალ მოლაპარაკებას. მაგრამ მოსკოვის ამჟამინდელი მოქმედება მიანიშნებს, რომ იგი ცდილობს გადადგას თანამიმდევრული ნაბიჯები საქართველოსთან კავშირურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე.

ივნისის დამლევს, პირობით დათქმულ ვადაზე ოთხი თვით ადრე, რუსეთმა საქართველოს გადასცა ახალქალაქის სამხედრო ბაზა. საქართველოში რუსეთის ბოლო სამხედრო საყრდენი — ბათუმის ბაზა, მომავალ წელს დაიხურება. ახლა კიდევ უფრო მაღლა აწიეს ეგრეთ წოდებული „სავიზო შლაგბაუმი“.

ჩვენს კორესპონდენტს „აეროფლოტის“ წარმომადგენლობაში განუცხადეს, რომ 28 ივლისიდან შეიძლება განახლდეს ორ ქვეყანას შორის რეგულარული საავიაციო მიმოსვლა. ჯერჯერობით კი თვითმფრინავები კვირაში ორ რეისს შეასრულებენ — ეს ერთიორად ნაკლებია კრიზისამდელ პერიოდთან შედარებით. მარტსაც და მაისშიც მოსკოვიდან თბილისში „აეროფლოტის“ რეისები შეტანილი იყო განრიგში, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა.

„თუ რუსეთი სავიზო რეჟიმის შერბილებით ცდილობს საქართველოსგან რაღაც „შემხვედრი, კონსტრუქციული ნაბიჯების“ მიღწევას, უბრალოდ, არ ვიცით, თუ რა დათმობებს მოითხოვენ ჩვენგან, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის საგარეო კავშირურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო ნაკაშიძემ. — ჩვენ არ შემოგვილია სავიზო შეზღუდვები, არ დაგვიწესებია ემბარგო რუსულ პროდუქციაზე. ხოლო იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინათ რუსეთის ელჩი საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკო გვთავაზობდა ნეიტრალურ ქვეყნად გახდომას, შემიძლია ვთქვა, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ აღებული ჩვენი კურსი შეუქცევადია“.

მოსკოვი მხარს უჭერს, რომ გაგრძელდეს თბილისთან მოლაპარაკება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლის შესახებ, მაგრამ ამ საკითხში ჯერჯერობით პერსპექტივები არ ჩანს. მიმდინარე წელს უკვე გაიმართა მოლაპარაკების ორი რაუნდი. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 2004 წელს საქართველომ დართო რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის ნება, მაგრამ ერთი წლის შემდეგ თბილისმა თავისი ხელმოწერა მოულოდნელად უკან გამოიხმო. თბილისში მოითხოვეს რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე მოქმედი „უკანონო“ საბაჟო პუნქტების ლეგალიზაცია. აქ თბილისი გულისხმობს იმას, რომ ზემოაღნიშნულ პუნქტებზე უნდა იმყოფებოდნენ საქართველოს წარმომადგენლები, რაც ყოვლად მიუღებელია თვითაღიარებული რესპუბლიკებისთვის. თბილისში მიაჩნიათ, რომ მოსკოვს შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება სოხუმსა და ცხინვალზე. რუსეთში კი აცხადებენ, რომ ამ საბაჟო პუნქტების მოქმედება არ ხვდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის იურისდიქციაში.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# მიხეილ სააკაშვილი ერაყში ქართველთა სამხედრო ყოფნას ზრდის

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ერაყში ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა კონტინგენტი ორი ათასამდე გაიზრდება.**

ქართველი სამხედრო მოსამსახურეები ქუვეითიდან 23 ივლისს ჩავლენ მუდმივი დისლოკაციის ადგილზე — ქალაქ ალ-ქუთის სამხედრო ბაზაში. იქ ისინი შეუერთდებიან 850 ქართველ სამხედროს, რომლებიც უკვე მსახურობენ ქალაქებში ბააქუბასა და ბაღდადში. ქართული ბრიგადა განახორციელებს ქალაქ ალ-ქუთის და ერაყ-ირანის საზღვრის პატრულირებას.

როგორც ცნობილია, საქართველო ერაყის ოკუპაციაში მონაწილეობს 2003 წლის აგვისტოდან. ერაყში კონტრაქტით მომსახურე ქართველი სახედროების მინიმალური ხელფასი 1100 დოლარს შეადგენს.

საქართველოს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო ოპერაციებში თავისი სამხედროების მონაწილეობის საკითხს. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ კოსოვოსა და ერაყში მიმდინარე ოპერაციების დროს მიღებული უნარ-ჩვევები შეუწყობს ხელს სამხედროების მომზადებას ნატოს სტანდარტების დონეზე. საქართველოს სამშვიდობო ძალებში სამსახური ნებაყოფლობითია.



როგორც მანამდე აცხადებდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროში, ისევე როგორც ცხოვრების სხვა სფეროებში განხორციელებული წარმატებული რეფორმები საქართველოს მისცემს იმის საშუალებას, რომ 2008 წელს მიიღოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

# სამხრეთ ოსეთი თავისი სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის შექმნას ეწინააღმდეგება

**სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ხელისუფლების მიერ შექმნილ კომისიას, რომელმაც უნდა განსაზღვროს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის ავტონომიური სტატუსი. ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილის შესაბამისი განცხადება გაავრცელა 20 ივლისს ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და პრესის კომიტეტმა.**

დოკუმენტში, კერძოდ, ხაზგასმულია, რომ „საქართველოს ხელმძღვანელობამ გადადგა მორიგი ნაბიჯი, რომელიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს. მან შექმნა ეგრეთ წოდებული კომისია, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ასეთი მოქმედება არ ექვემდებარება ელემენტარული ლოგიკის მოთხოვნებს და არც პოლიტიკური თვალსაზრისით არის მიზანშეწონილი. მსგავსი კომისიის შექმნა იქნებოდა ლოგიკური მაშინ, სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში რომ ყოფილიყო და მიზანშეწონილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს დასჭირდებოდათ თბილისიდან მითითებების მიღება თავიანთი სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის განსაზღვრისათვის“.

ცხინვალში იხსენებენ, რომ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის, როგორც სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი, მის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა განსაზღვრა სამართლის, და მათ შორის, საერთაშორისო სამართლის ყველა მოთხოვნის შესაბამისად 1992 წლის საყოველთაოსახალხო რეფერენდუმის დროს, რომლის შედეგებიც 2006 წლის საყოველთაოსახალხო რეფერენდუმმაც დაადასტურა“.

შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილს მიაჩნია „აბსურდულად ის, რომ ქართული მხარე „მოლაპარაკების“ გამართვას აპირებს თავის მარიონეტებთან სოფელ ქურთაში, მოქალაქე დ. სანაკოევის მეთაურობით, რომელსაც ზურგი შეაქციეს თვით ნათესავებმაც კი, და ეს ადამიანი არ წარმოადგენს ოს ხალხს და მის ინტერესებს“.

ცხინვალში აღნიშნეს, რომ „სამხრეთ ოსეთის სტატუსის განმსაზღვრელი ეგრეთ წოდებული კომისიის შექმნა ეწინააღმდეგება შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში წინათ ხელმოწერილ ხელშეკრულებებს, რომლებიც, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის სამშვიდობო ინიციატივებთან ერთად, ითვალისწინებენ შერეული საკონტროლო კომისიის საერთაშორისო ფორმატის ფარგლებში პოლიტიკური დარეგულირების ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნას“. ამის ნაცვლად ქართული მხარე დაადგა „იმ თავისივე სახელმწიფო მოხელეებთან სეპარატისტული მოლაპარაკების“ გზას, რომლებსაც არანაირი დამოკიდებულება არა აქვთ სამხრეთ ოსეთთან. ყოველივე ეს მოწმობს, რომ სააკაშვილს არ სურს მოქმედება „საერთაშორისო სამართლებრივ სივრცის ფარგლებში“, მიაჩნია შერეული საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის ნაწილს.

გარდა ამისა, ცხინვალში აცხადებენ: „საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კომისია და მისი მუშაობის შედეგები იმთავითვე არალეგიტიმურია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რადგან ეს ეწინააღმდეგება შერეული საკონტროლო კომისიის საერთაშორისო ფორმატის ფარგლებში წინათ ხელმოწერილ შეთანხმებებს, მისი მუშაობა კი მიზნად ისახავს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის გაჭიანურებას და კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის შემდგომი ესკალაციისათვის გამიზნული ქართული მხარის მოქმედების გამართლებას“. სამხრეთ ოსეთი მოუწოდებს საერთაშორისო გაერთიანებას, რომ დაგმოს ქართული მხარის უკანონო მოქმედება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა განკარგულება კომისიის შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა განსაზღვროს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსი, და განაცხადა, რომ დაიწყო შესაბამისი მოლაპარაკების პროცესი. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. კომისიის შემადგენლობაში შევლენ ფაქტობრივად ყველა მინისტრი, აგრეთვე საქართველოს პარლამენტისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ცხინვალის რეგიონის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა დიმიტრი სანაკოევმა აღნიშნა, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებს ამ ორგანოსთან. კომისიაში, განაცხადა აწ უკვე ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში მერაბ ანთაძემ, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მიიწვევენ.

ГазетаСНГ

№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1151 | [illegible] ... VIII ... № 51 ... [illegible] | [illegible] | 130,81 | 158 | 16000 | 1000 | 4000 | | 50 |

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმ, დინარეობს 2007 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 სა, ათამდე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 15 აგვისტოს 16:30 საათზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების, საჯ არო რეესტრში რეგისტრაციისა და აუცილებელი საბუ, თების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არა, საგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმ, ღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ. 93-37-64

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მე, საკუთრის“ 2007 წლის 17 ივლისის №26 (525)-ში.

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სსიპ „კიბერნეტიკის ინსტიტუტის“ ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების პრივატიზებას

| | დასახელება | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე“ აშშ დოლარი | მონაწილის ბილეთი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | სსიპ „კიბერნეტიკის ინსტიტუტი“ -(შენიშვნა: ძირითადი საშუალების სრული სია ინახება აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილებაში, ტ: 989093) | 13000 | 500 | 3900 | 50 |

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერი, ლის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 18 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდე, ბა და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 17 აგვისტოს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარ, იში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 17 ივლისის №26 (525)-ში.

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ

1. ქ.თბილისის №171 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 0,3 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლი, თონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 15 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საავტომობილო გზებზე ჩატარებული საგზაო სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მიღებუ, ლი ალუმინის სადენის სავარაუდო წონაა 0,560 ტონა (მდებარეობს ქ.წყალტუბო, ტაბიძის ქუჩა, I შესახვევი, №4, შპს „ჯ და ჯ“-ს ბაზა). ერთი ტონა ალუმინის სადენის ღირებულება შეადგენს 1131 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა ალუმინზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონა, წილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

3. ქ.თბილისის №22 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღე, ბული თუნუქის სავარაუდო წონაა 600 კგ. ერთი ტონა თუნუქის ღირებულე, ბა შეადგენს 75 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი“-ს სიდიდე 1 ტონა თუნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე“ 10 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გა, მარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის და, მუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 18 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველ სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩა, ტარდება 2007 წლის 17 აგვისტოს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტ, რალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 17 ივლისის №26 (525)-ში.

№ 140. შაბათი. 21 ივლისი. 2007 წელი.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში" 899 328576

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | 98,80 | | 25000 | 1000 | 5000 | 878 [illegible] | 50 |
| 2 | [illegible] | [illegible] | 46,60 | | 15000 | 1000 | 3000 | 2264,38 [illegible] | 50 |
| 3 | [illegible] | [illegible] | 224,20 | | 75000 | 2000 | 10000 | [illegible] | 50 |
| 4 | [illegible] | [illegible] | 58,88 | | 18000 | 1000 | 3500 | 8,36 [illegible] | 50 |
| 5 | [illegible] | [illegible] | | 18,6 ჰა | 1500000 | 50000 | 150000 | | 100 |

**შენიშვნა:** - უძრავი ძეგლის მესაკუთრე უფლებამოსილია: უძრავი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტროსთან გააფორმოს დაცვითი ხელ, შეკრულება, ამ ძეგლის დაცვითი რეჟიმის მითითებით (შენიშვნა გასათვალ, ისწინებელია ლოტი №1-სთვის)

**შენიშვნა:** - უძრავი ძეგლის მესაკუთრე უფლებამოსილია: უძრავი დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სამინისტროსთან გააფორმოს დაცვითი ხელ, შეკრულება, ამ ძეგლის დაცვითი რეჟიმის მითითებით (შენიშვნა გასათვალ, ისწინებელია ლოტი №2-სთვის)

**შენიშვნა:** აუქციონის პირობები:

- მყიდველი ვალდებულია ობიექტის გამოსასყიდი ღირებულება გადაიხა, დოს აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 1 წლის განმავლობაში, შემდ, ეგი გრაფიკით: პირველი 6 თვის განმავლობაში ღირებულების 50%, ხოლო დარჩენილი 50% მომდევნო 6 თვის განმავლობაში;
- მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს საპრივატიზებო ნაკვეთის გა, სწვრივ არსებული გზის კეთილმოწყობა; (შენიშვნა გასათვალისწინებელია ლოტი №5-სთვის)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 17 ივლისიდან 16 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევა, ში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სა, მუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 16 აგვისტოს 16:30 საათზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგის, ტრაციისა და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამ, დე დაფაროს ობიექტზე რიცხული საიჯარო ქირის (და სხვა სახის) დავალი, ანება

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტ, რალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბან, კის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, 93-37-64

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 17 ივლისის №26 (525)-ში.

№ 140. შაბათი. 21 ივლისი. 2007 წელი.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

| № | ბალანს მფლობელი ორგანიზაცია | ძირითადი საშუალებები | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე“ აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 7(28) | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | სეიფი № 1 | 1985 | 40 | 3 | 12 |
| 10(31) | საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი | სეიფი № 4 | 1985 | 30 | 3 | 10 |

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა შემთხვევაში არ ანაზღაურდება შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის შემთხვევაში?**

**ლიდა ჯუღელი**

**პასუხი:** ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებები არ ანაზღაურდება, თუ საავადმყოფო ფურცლის გაცემის, ხოლო შვილად აყვანის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება ძალაში შესვლის დღიდან გასულია 6 თვე.

* * *

**კითხვა: ვარ 8 შვილის დედა, რომელთაგან 7 არასრულწლოვანია. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა ოდენობის თანხა უნდა მეძლეოდეს დღეს მოქმედი კანონით სოციალური დახმარების სახით, რომელიც 5 წლის წინათ დამენიშნა?**

**ნათია ფხალაძე**



**პასუხი:** თქვენი საოჯახო (იგივე სოციალურიძ დახმარების ოდენობა, სამწუხაროდ, მხოლოდ 35 ლარს შეადგენს. უფრო მეტი ოდენობის საარსებო შემწეობა იმ მრავალშვილიან ოჯახებს ენიშნებათ, რომლებმაც სათანადო შემოწმების შემდეგ დააგროვეს სიღატაკის დაძლევის პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სარეიტინგო ქულა.

* * *

**კითხვა: მყავს 5 არასრულწლოვანი შვილი. ვიღებდი დახმარებას თვეში 35 ლარის ოდენობით, რომელიც მიმდინარე წლის იანვრიდან შემიწყვიტეს. ეს თანხა ზოგისთვის იქნებ არაფერია, მაგრამ ჩემი გაჭირვებული ოჯახისათვის ბევრი იყო. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის ეძლევა დღეს მოქმედი კანონით მრავალშვილიანობის დახმარება?**

**ლანდა ზვიადაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, საოჯახო დახმარება – თვეში 35 ლარის ოდენობით იმ მრავალშვილიან ოჯახებს ეძლევათ, რომელთაც ჰყავთ 7 ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, რომელთაც ეს დახმარება დანიშნული ჰქონდათ 2007 წლის 1 იანვრამდე და არ იღებენ სიღატაკის დაძლევის პროგრამით გათვალისწინებულ საარსებო შემწეობას. დანარჩენ მრავალშვილიან ოჯახებს დახმარება თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 5 ლარის ოდენობით, სამწუხაროდ, მიმდინარე წლიდან აღარ ეძლევათ.

* * *

**კითხვა: ვარ 16 წლის. ბავშვობიდან ვიღებ ინვალიდობის დახმარებას (პენსიასძ თვეში 38 ლარის ოდენობით. გარდამეცვალა მამა, რომელიც ჩემი მარჩენალი იყო. გთხოვთ, მაცნობოთ, დამენიშნება მეორე პენსია მისი დაღუპვის გამო 18 წლის მიღწევამდე მაინც?**

**გიორგი დარჩია**

**პასუხი:** სამწუხაროდ, არ დაგენიშნებათ, ვინაიდან ერთდროულად ორი სახის პენსიის (ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამოძ დანიშვნას მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს.

* * *

**კითხვა: მაქვს 48 წლის შრომის სტაჟი, ვცხოვრობ ქუთაისში. ვარ 65 წლის, პენსიის დასანიშნად მივმართე სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას. მითხრეს, პენსია 38 ლარი გერგებაო. თბილისში ჩემს ძმას 26 წლის შრომის სტაჟი აქვს და 48 ლარი დაენიშნა. რატომ ხდება ასე?**

**დავითი (ქუთაისიძ**

**პასუხი:** დანამატი, რომელიც თბილისელებს ეძლევათ 2-დან 10 ლარამდე (სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებითძ ფინანსდება დედაქალაქის ბიუჯეტიდან. ამიტომ, თუ არ იქნება მიღებული შესაბამისი კანონი მსგავსი დანამატის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემის შესახებ, თქვენი და კიდევ უამრავი ჩვენი თანამემამულის თხოვნის დაკმაყოფილებისთვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

* * *

**კითხვა: ვარ საჯარო მოსამსახურე. 3 თვეში ველოდები მეორე შვილს. მითხრეს, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების თანხების ანაზღაურების დროს, კომპენსაციაც გეკუთვნისო, მაგრამ სრულყოფილად ვერავინ გამარკვია, რა იგულისხმება ასეთ შემთხვევაში „კომპენსაციაში“.**

**ნანა ინასარიძე**

**პასუხი:** კომპენსაცია არის საჯარო მოსამსახურეებისთვის ორსულობისა და მშობიარობის გამო. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარება, რომელიც ფინანსდება შესაბამისი დაწესებულებებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## ინფორმაცია

# რუსეთის ელჩი კონფლიქტის ზონაში ქართველი პოლიციელების სიმრავლით შეშფოთებულია

**საქართველო გაუმართლებლად ზრდის თავის პოლიციურ ძალებს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. ამის შესახებ, „რია-ნოვოსტის“ ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა იური პოპოვმა განაცხადა.**

– შეიარაღებულ პირთა რაოდენობა მოთხოვნათა არაპროპორციულად იზრდება. ეს, რა თქმა უნდა, ოსების გაღიზიანებასა და ვითარების დესტაბილიზაციას იწვევს, – აღნიშნა პოპოვმა.

დიპლომატის განცხადებით, ზოგჯერ სამხრეთ ოსეთის არაადეკვატური მოქმედებები ქართული მხარის ასეთი მოქმედებების შედეგია.

მისივე თქმით, კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდა 900 ადამიანით არის შესაძლებელი, მაგრამ ამჟამად ამის აუცილებლობა არ არსებობს.

– ბოლო პერიოდში არის ტენდენცია, როცა ქართული ბატალიონი არა სამშვიდობო ძალების ერთიან მეთაურობას, არამედ ოფიციალური თბილისის ხელმძღვანელობას ექვემდებარება, – განაცხადა პოპოვმა.

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, საქართველო ომისთვის ემზადებოდეს, დიპლომატმა აღნიშნა, რომ ამის საფრთხე არ არსებობს.

პოპოვმა ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი თეორიულად არ გამორიცხავს დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელის დიმიტრი სანაკოევის მონაწილეობას შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში, მაგრამ ის ვერ იქნება კონფლიქტის მხარის წარმომადგენელი.

# ჩეჩენი ლტოლვილი დახმარებას ითხოვს

**პანკისის ხეობის სოფელ დუისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილი იდრის ალხანიშვილი ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დახმარებას სთხოვს და აცხადებს, რომ სისხლის აღებით ემუქრებიან.**

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან და განმარტავენ, რომ მათგან ალხანიშვილი დახმარებას ითხოვს.

როგორც ალხანიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციას განუცხადა, მისმა ძმამ ხუთი წლის წინათ ადგილობრივი მკვიდრი იმედაშვილი მოკლა, რის შემდეგაც მან პანკისის ხეობა დატოვა და ჩეჩნეთში გადავიდა.

– ცოტა ხნის წინათ, სანდო პირებმა გამაფრთხილეს, რომ შურისძიების მიზნით, მოკლულის ახლობლები ჩემზე ნადირობენ. ამიტომ, ხეობიდან გასახლების თხოვნით რამდენჯერმე მივმართე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. საცხოვრებლად სხვა ადგილი საერთოდ არ შემოუთავაზებიათ. აბსოლუტურად იზოლირებული ვარ. მარტო ვერსად გავდივარ, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება მომკლან და ჩემი ოჯახი, 23 წლის მეუღლე, რომელთანაც ხუთი მცირეწლოვანი შვილი მყავს, უპატრონოდ დარჩეს, – განაცხადა იდრის ალხანიშვილმა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

# სპორტი

● ქართველი ნიჩბოსნები ამ შეჯიბრებისთვის სიონში ემზადებოდნენ. რამდენიმე ტურნირში წარმატებითაც გამოვიდნენ. მაგალითად, ძმებმა ხიზანიშვილებმა ამას წინათ ლიტვის რეგატა მოიგეს



**ფეხბურთი**

## რაცა ვართ, ესა ვართ

**იყო დრო, როცა ევროტურნირების კენჭისყრისას ლიხტენშტაინის „ვადუცის“ დონის მეტოქეს ვნატრობდით. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.**

თანამედროვე ქართულ კლუბებს საქმე ისე მისდით, რომ ჯუჯა სახელმწიფოს ქვეშევრდომებთან ორრაუნდიან დუელში გამარჯვებულის გამოცნობა ერთობ სარისკო გახლავთ. რას ვიზამთ, ეტყობა, კრიზისში მხოლოდ ეროვნული ნაკრები კი არა, მთელი სამამულო ფეხბურთია.



დასტურად უეფას თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩი გამოდგება, რომელშიც თბილისის „დინამომ“ სტუმართა შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევა მხოლოდ დასკვნით ნახევარ საათში მოახერხა – 2:0 (მერებაშვილი, აკირემიძ. საგანგაშოდ ის უფრო გვეჩვენა, რომ მანამდე მასპინძელთა გაზონელი მეკარის ოვონის გადასარჩენი გავხლდით რამდენიმე ეპიზოდში.

გაცილებით უფრო გაირთულა მორიგ ეტაპზე გასვლა დედაქალაქის „ამერმა“, რომელიც პოლონეთში „ბელხატოვთან“ დამარცხდა – 0:2. შეხვედრის ბედი იქაც შესვენებისშემდეგ გადაწყდა, როცა პეტრაშიაკმა „დუბლი“ შეასრულა.

***დანარჩენი თამაშების შედეგები:*** *„ბანანცი“ – „იანგ ბოიზი“ 1:1, „სანტა კოლომა“ – „მაკაბი“ 1:0, „არაზი“ – „გროცლინი“ 0:0, „მორავიცე“ – „ალმაათა“ 3:1, „ფლორა“ – „ვოლერენგა“ 0:1, „აქტობე“ – „მატერსბურგი“ 1:0, „ბეჟანიცა“ – „ბესა“ 2:2, „ვოივოდინა“ – „ჰიბერნიანსი“ 5:1, „ნისტრუ“ – „ჰონვედი“ 1:1, „სლავენი“ – „ტეუტა“ 6:2, ჰიკ – „ეტცელა“ 2:0, „მეტალურგი“ – „დინამო“ (ბრესტიძ 1:1, „მიუპა“ – „სტეიმური“ 1:0, „სკონტო“ – „დინამო“ (მინსკიძ 1:1, „ტორსჰავნი“ – „ეკრანასი“ 1:3, „ჰელსინგბორგი“ – „ნარვა“ 6:0, „სლიმა“ – ლიტექსი“ 0:3, „ლილესტრიომი“ – „კიერინგი“ 2:1, „კარმარტენი“ – „ბრანი“ 0:8, „ომონია“ – „რუდარი“ 2:0, „ჰაკენი“ – „რეიკიავიკი“ 1:1, მტკ – „მიკა“ 2:1, „არტმედია“ – „ზიმბრუ“ 1:1, „რილი“ – ჰაკა 3:1, „გორიცა“ – „რაბოტნიჩკი“ 1:2, „რიდი“ – „ნეფთჩი“ 3:1, „ვარდარი“ – „ანორთოსისი“ 0:1, „დუნგანონი“ – „სუდუვა“ 1:0, „ზრინსკი“ – „პარტიზანი“ 1:6, „ბუდუჩნოსტი“ – „ჰაიდუკი“ 1:1, „შიროკი ბრიეგი“ – „კოპერი“ 3:1, „გლენტორანი“ – აიკ 0:5, „სენტ პატრიკსი“ – „ოდენსე“ 0:0, „კეფლავიკი“ – „მიდტიულანდი“ 3:2, „ლიბერტასი“ – „დროჰედა“ 1:1.*

**საპასუხო მატჩები 2 აგვისტოს გაიმართება.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

**ცურვა**

## გვეპატიჟება „ლაგუნა ვერე“

**დღეს, 11 საათზე საწყლოსნო სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეში“ დაიწყება საინტერესო შეჯიბრება, რომელშიც საინფორმაციო სააგენტოების, გაზეთების, ტელე და რადიომაუწყებლობების ჟურნალისტები იასპარეზებენ.**

ტურნირის ორგანიზატორები არიან ჰენრი კუპრაშვილი (საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტის“ თავმჯდმოარე,ძ ვლადიმერ გოიაშვილი („ლაგუნა ვერეს“ დირექტორიძ, მალხაზ გულაშვილი (მედია ჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“ძ, გურანდა გურასაშვილი (ტელეკომპანია „მზე“ძ, ლევან სალუქვაძე (ტელეკომპანია „იმედი“ძ, დავით მინაშვილი (საზოგადოებრივი მაუწყებელიძ, დიმა ოზოლაძე (ტელეკომპანია „რუსთავი-2“ძ, მარიკა ქაცარავა (თბილისის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურიძ. შეჯიბრების მატერიალურ მხარეს უზრუნველყოფს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და სპორტკომპლექსი „ლაგუნა ვერე“.

მოასპარეზენი ერთმანეთს შეეჯიბრებიან თავისუფალი ყაიდით, ბრასით, ბატერფლაითა და გულაღმა 50 მეტრზე, ასევე თავისუფალი კოლხურით (ლაზურითძ 25 მეტრზე ცურვაში. გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან.



**ნიჩბოსნობა**

## იქნებ საგზურსაც გამოჰკრან ხელი

**შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში 27-29 ივლისს ახალგაზრდა ნიჩბოსანთა მსოფლიო პირველობა გაიმართება, რომელშიც საქართველოს წარგზავნილებიც იასპარეზებენ. ეს შეჯიბრება იმითაც არის საინტერესო, რომ საერთაშორისო ნორმატივების შესრულების შემთხვევაში, სპორტსმენები პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურებსაც გაინაღდებენ.**

გლაზგოში მცხეთელებით დაკომპლექტებული ოთხკაციანი გუნდი გაემგზავრა. წყვილმოსასმელიანი ნავით ძმები – ლაშა და გიორგი ხიზანიშვილები იასპარეზებენ, ხოლო ორადგილიანი გასაშლელი ნავით მედლებისთვის კახა კანდელაკი და გიორგი ელყანიშვილი იბრძოლებენ.

ქართველი ნიჩბოსნები ამ შეჯიბრებისთვის სიონში ემზადებოდნენ. რამდენიმე ტურნირში წარმატებითაც გამოვიდნენ. მაგალითად, ძმებმა ხიზანიშვილებმა ამას წინათ ლიტვის რეგატა მოიგეს; მსოფლიო თასის ეტაპზე კი მეთხუთმეტე შედეგი აჩვენეს. წინსვლა იმანაც განაპირობა, რომ წლის დასაწყისში ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენებს თანამედროვე ნავები გამოუგზავნა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ნიჩბოსნები წლეულს კიდევ ორ სალიცენზიო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს და, იმედია, უსაგზუროდ არ დარჩებიან.



**სურათზე: ძმები ხიზანიშვილები.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

**ორბიტაზე**

### არასპორტული საქციელისთვის



**ეს ქალთა ჩოგბურთის WTA Tour-ის ისტორიაში მეორედ მოხდა, როცა მოთამაშე დისკვალიფიცირებულია თამაშის დროს. 25 წლის რუსეთელმა ჩოგბურთელმა ანასტასია როდიონოვამ ცინცინატში მიმდინარე ტურნირზე გერმანელ ანჟელიკ კერბერთან შეხვედრისას, ჯერ პირველი სეტი მოიგო – 6:4, ხოლო შემდეგ იმავე ანგარიშით დათმო მეორე პარტია.**

ხოლო, როცა მესამე სეტის პირველი გეიმიც წააგო, მძლავრად სტყორცნა ბურთი ტრიბუნისაკენ, სადაც მეტოქის სამი გულშემატკივარი იჯდა. ბურთი სარეკლამო ფარმა აისხლიტა, თუმცა შეხვედრის მსაჯმა როდიონოვას საქციელი დაუშვებლად მიიჩნია და ტურნირის რეფერი უილიმ კოფი მოიხმო. მათ ერთობლივად გადაწყვიტეს როდიონოვას დისკვალიფიკაცია არასპორტული საქციელისთვის.

ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის 36-წლიან ისტორიაში პირველად ასეთი დისკვალიფიკაცია მიუყენეს 1996 წელს პალერმოს ტურნირზე რუმინელ ირინა სპირლის მსაჯის მიმართ დაუშვებელი გამოთქმისათვის.

### რინგის ლამაზმანი

**მას მარტო იმით კი არ იცნობენ, რომ რინგზე გამეტებით ურტყამს მეტოქეებს, არამედ რესტლერ კენდის მიჩელი ცნობილია, აგრეთვე როგორც მოდელი და მრავალნაირი შოუს მონაწილე. ამასწინანდელ სუპერბოულში კენდისმა ბრწყინვალედ შეასრულა პაროდიები ჯანეტ ჯექსონსა და შერონ სტოუნზე.**



რინგის ლამაზმანს ილებენ ისეთი კინოსტუდიების ფილმები, როგორიცაა „მეოცე საუკუნე-ფოქსი“, ჯორჯ კლუნის სტუდია, ის აქტიურად მონაწილეობს ფიტნესისთვის ტრენაჟორების მომზადებაში.

ლოს-ანჟელესში ფიტნესსა და ბოდიბილდინგში გამართული შეჯიბრებების შედეგების მიხედვით გამოქვეყნებულ რეიტინგში კენდის მიჩელი მეხუთე ადგილზეა.

### შვებულების მოლოდინში

**„ვიძინებ და ვიღვიძებ დასვენებაზე ფიქრით“, – განუცხადა იტალიელ ჟურნალისტებს ცნობილმა შოუ-ვარსკვლავმა ანტონელა მოზეტიმ. ის მოუთმენლად ელის შვებულების დაწყებას, რათა ტკბილად გაატაროს დრო თავის რჩეულთან, ფარიკაობაში ოლიმპიურ ჩემპიონ ალდო მონტანოსთან.**



ლამაზმანს ტრაგედიად მიაჩნია, რომ სამუშაოს გამო შეყვარებულები ხშირად ვერ ხედავენ ერთმანეთს, მაგრამ შვებულების დროს დაკარგულს ავინაზღაურებთო.

„ჩვენ ხშირად დავდივართ რესტორნებში, მაგრამ ჩვენი ხელით მომზადებული უფრო მოგვწონს. მალე კონკურსსაც კი მოვაწყობთ, თუ ვინ უფრო გემრიელ კერძებს მოამზადებს“, – თქვა ანტონელამ.

ასეთი დიდი სიყვარულის მიუხედავად, ქორწილზე მაინც და მაინც არ ლაპარაკობენ. „ალდო ასეთი ნაბიჯისთვის ჯერ მზად არაა-, – წუხს მოზეტი, თუმცა მიაჩნია, რომ შეუღლების დროც მალე დადგება.

№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

# ჩვენ

**თაბაშირდადებული კაცი კიდევ ერთხელ სცემეს. ხოსიტაშვილმა გონება დაკარგა, პირიდან სისხლი სდიოდა. ნათესავებმა „სასწრაფო“ გამოიძახეს. თავიანთი მხეცური ქმედებების შესაძლო დაფიქსირებით შეშინებულმა ორგანოს თანამშრომლებმა მანამ არ შეუშვეს 03-ის ექიმები, ვიდრე ფაქტის წინაშე არ დადგნენ, რომ დაკავებული კვდებოდა. ძირს დაგდებულს თავი პირიდან წამოსული სისხლის გუბეში ედო. „სასწრაფომ“ მომაკვდავი ისევ ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანა. იგი რეანიმაციის განყოფილებიდან გამოუსვლელად, დაკავებიდან მესამე დღეს გარდაიცვალა**



## უკანონობა

# პოლიციელებმა კაცი მოკლეს, სიკვდილის მიზეზად კი ციროზს ასახელებენ

**სოფელ დიღომში მცხოვრებმა ალექსანდრე ხოსიტაშვილმა სახლთან ახლოს, ჯიხურში „ნისიაზე“ ლუდი ითხოვა. ლარის მიღებით გაბრაზებულმა ხელი ფანჯარას დაარტყა. ფანჯარა გატყდა, ხოსიტაშვილმა ხელი გაიჭრა. მეზობელმა, თენგიზ კოტორაშვილმა იგი თანასოფლელ შორენა ხელაშვილის ეზოში შეიყვანა. ხელგაჭრილს გული გაუხდა ცუდად. დიასახლისი წვეთების გამოსატანად სახლში შევიდა. უკან მობრუნებულს საშინელი სურათი დახვდა. ასე გახდა იგი პოლიციელთა თვითნებობის უნებლიე თვითმხილველი.**

მისი განმარტებით, როდესაც წვეთების მისაცემად ეზოში გამოვიდა, დაინახა, რომ ხოსიტაშვილს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული სამი პიროვნება ჭიშკრისკენ მიათრევდა. ორნი გვერდებში იყვნენ ამომდგარნი, ერთიც ქეჩოთი მიათრევდა. დაკავებული ცუდად იყო და სიარული უჭირდა, ამის გამო გზადაგზა მას თავში მუშტებს ურტყამდნენ. ქუჩაში გაყვანილი თავის ლურჯი ფერის „ჟიგულთან“ დააგდეს და წიხლებით შესდგნენ. მოძალადეებმა ნაცემი ხოსიტაშვილის მანქანაში ჩასმა გადაწყვიტეს. ამ დროს მათ მიუახლოვდნენ ხელაშვილი და კოტორაშვილი. ქალმა ითხოვა, ცუდად არის, მიმიშვით, წამალს დავალევინებო. „სამეულმა“ მას შეაგინა. კოტორაშვილის კითხვას, რას ერჩით, ან საერთოდ ვინ ხართო, მისთვის სახეში მუშტის დარტყმა მოჰყვა. ამ მცირე ხნით პირისპირ ლაპარაკში ხელაშვილმაც და კოტორაშვილმაც იცნეს დიღმის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომელი ჩადუნელი.

ცემაში გართულმა პოლიციელებმა მოულოდნელად შენიშნეს, რომ მოშორებით, მაღაზიასთან „პატრულის“ მანქანა გაჩერდა. მათ ცემას თავი ანებეს და ხოსიტაშვილი მანქანაში ჩატენეს, თან იძახდნენ, ჩქარა პატრულმა არ დაგვინახოსო“, — აცხადებს კოტორაშვილი. შემდეგ მასაც სტაცეს ხელი, მანქანაში შეაგდეს და გეზი თბილისისაკენ აიღეს. ხელაშვილს გაუკვირდა, თუ რატომ მიჰყავდათ ხოსიტაშვილი თბილისში და არა იქვე, პოლიციის დიღმის ქვეგანყოფილებაში. მომხდარის შესახებ მან ხოსიტაშვილის ოჯახს აცნობა.

როდესაც პოლიციის თბილისის სამმართველოში გაარკვიეს, რომ ხოსტიაშვილთან ერთად მიყვანილი კოტორაშვილი ჯიხურის ინციდენტის დროს იქ არ იმყოფებოდა, მალე გამოუშვეს. ხოსიტაშვილი კი დაიტოვეს. საქმეში გასარკვევად მოსულ მის ცოლისძმას, დათო გენებაშვილს იგი უმძიმეს მდგომარეობაში დახვდა. ნაცემ ხოსიტაშვილს პირიდან სისხლი მოსდიოდა. ფეხი გასიებული ჰქონდა. ცოლისძმა თვითონ ასველებდა ტილოებს და სიძეს ფეხზე ადებდა, გენებაშვილს შენობის დატოვება უბრძანეს. თან აუხსნეს, რომ მის სიძეს დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანდნენ, შემდეგ საბუთები სასამართლოს გადაეცემოდა, რომელიც მას ორთვიან წინასწარ პატიმრობას შეუფარდებდა.

ვიდრე ეს პროცედურები დაიწყებოდა, დაკავებული სიმთვრალის ხარისხის დასადგენად ნარკოლოგიურში წაიყვანეს. იმის გამო, რომ პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს ეზოში ხოსიტაშვილის ნათესავები და ახლობლები მრავლად იყვნენ შეკრებილი, პოლიციელებმა მისი ნარკოლოგიურიდან პირდაპირ წინასწარი დაკავების საკანში მიყვანა გადაწყვიტეს, მაგრამ იუსტიციის დაქვემდებარებაში მყოფმა სტრუქტურამ უმოწყალოდ ნაცემი კაცის მიღებაზე უარი განაცხადა. ხოსიტაშვილი ისევ პოლიციის შენობაში დააბრუნეს.

ახლობლებმა ნაცემი კაცი საკუთარი სახსრებით ღუდუშაურის კლინიკაში წაიყვანეს. ექიმებმა ფეხზე თაბაშირი დაადეს და საჭიროდ ჩათვალეს ერთი ღამე იქ გაეთენებინა. სამართალდამცავებმა მას ორკაციანი ბადრაგი მიუჩინეს. მეორე დღეს ექიმებმა პოლიციელებს ნება დართეს, ეჭვმიტანილი წაეყვანათ. ხოსიტაშვილი ისევ პოლიციის შენობაში მიიყვანეს. თაბაშირდადებული კაცი კიდევ ერთხელ სცემეს. ხოსიტაშვილმა გონება დაკარგა, პირიდან სისხლი სდიოდა. ნათესავებმა „სასწრაფო“ გამოიძახეს. თავიანთი მხეცური ქმედებების შესაძლო დაფიქსირებით შეშინებულმა ორგანოს თანამშრომლებმა მანამ არ შეუშვეს 03-ის ექიმები, ვიდრე ფაქტის წინაშე არ დადგნენ, რომ დაკავებული კვდებოდა. ძირს დაგდებულს თავი პირიდან წამოსული სისხლის გუბეში ედო. „სასწრაფომ“ მომაკვდავი ისევ ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანა. იგი რეანიმაციის განყოფილებიდან გამოუსვლელად, დაკავებიდან მესამე დღეს გარდაიცვალა.

გარდაცვალების შემდეგ გვამი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში გადაიტანეს. კვირა დღე იყო და მარტო ერთი ექსპერტი მუშაობდა. მიყვანისთანავე მან მიცვალებულის ახლობლებს თანაგრძნობით უთხრა, საწყალი რა ნაცემიაო. მას შემდეგ კი, რაც შეიტყო, რომ ჭირისუფლები ხოსიტაშვილის სიკვდილში პოლიციას სდებდნენ ბრალს, შეშინებულმა ექსპერტმა განაცხადა, რომ იგი მარტო ვერ ჩაატარებდა ექსპერტიზას და იძულებული იყო, მეორე დღეს დალოდებოდა, როცა ბიუროს სრული შემადგენლობა იქნებოდა ადგილზე.

ხოსიტაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მის სიკვდილში მონაწილე პოლიციელები ურცხვად აცხადებდნენ, რომ მიცვალებულს ციროზი სჭირდა და სიკვდილის მიზეზიც სწორედ ეს დაავადება გახდაო.

სამართალდამცავების ამგვარ განცხადებას უმალ დაეთანხმნენ ღუდუშაურის კლინიკის ექიმებიც. მათი განმარტებით, თავდაპირველად საავადმყოფოში მიყვანილ ხოსიტაშვილს ღვიძლი ისეთ მდგომარეობაში ჰქონდა, რამდენიმე დღე თუ იცოცხლებდაო.

გარდაცვლილის ახლობლების ეჭვს, რომ ექიმები პოლიციის აშკარა ზეწოლით აკეთებენ დასკვნებს, ის გარემოებაც ამყარებს, რომ პირველ ჯერზე ბადრაგის თანხლებით კლინიკაში მიყვანილ ხოსიტაშვილს მხოლოდ მოტეხილი ფეხი ჩაუსვეს თაბაშირში. არ მომხდარა მისი მთლიანი გამოკვლევა. არადა, სასტიკად ნაცემს ჩამტვრეული ჰქონდა ნეკნები, ტანზე აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები და სისხლჩაქცევები. თუ მართლაც ციროზით დაავადებული და მომაკვდავი იყო ხოსიტაშვილი, მაშინ რა უფლებით გაწერეს იგი საავადმყოფოდან და პოლიციას გაატანეს? თუ შემდგომი გამოძიება სამართლიანად და სწორი მიმართულებით წარიმართა, ალბათ უნდა დადგეს იმ ექიმების პასუხისმგებლობის საკითხიც, რომლებმაც ასე ზერელედ გასინჯეს ავადმყოფი.

როგორც ჩანს, პოლიციელთა ზეწოლას დამოუკიდებელი ექსპერტებიც განიცდიან, რაც მათი დასკვნების სამართლიანობის ეჭვს ბადებს.

ხოსიტაშვილის ახლობლების მიერ მოწვეულმა დამოუკიდებელმა ექსპერტებმა ქართველიშვილმა და ერისთავმა გვამის პირველი დათვალიერებისას აღშფოთება ვერ დამალეს. ჭირისუფალიც ლოგიკურ დასკვნას ელოდა. ცოტა ხანში დამოუკიდებელ ექსპერტებს სახელმწიფო ექსპერტი და ქალაქის პოლიციის მაღალჩინოსნები შეხვდნენ. ამის შემდეგ დამოუკიდებლები თავს არიდებდნენ გარდაცვლილის ახლობლებს, რომელთა განცხადებით, ექსპერტები აფორიაქებულები და შეშინებულები ჩანდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დაბალი რგოლის პოლიციელები არ უარყოფენ ხოსიტაშვილის დაკავებას, მათ მიერ სასწრაფოს გამოძახებას (რაც მტკნარი სიცრუეა) და ბადრაგის თანხლებით ღუდუშაურის კლინიკაში გადაყვანას (რასაც მედპერსონალიც ადასტურებს), ქალაქის პოლიციის უფროსის მოადგილე ირაკლი ბაზერაშვილი წარბშეუხრელად აცხადებს, რომ ხოსიტაშვილი... პოლიციიდან განთავისუფლების შემდეგ მოხვდა საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

გარდაცვლილის ახლობლებს არა აქვთ სამართლიანი გამოძიების იმედი. მათ ყველაფერზე ხელი ჩაიქნიეს. ხოსიტაშვილის ახლობლებიდან მხოლოდ მისი ბავშვობის მეგობარი გია გენებაშვილი არ აპირებს უსამართლობასთან შეგუებას. მას შეხვედრები ჰქონდა ქვეყნის ომბუდსმენთან, ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

გენებაშვილის აქტიურობით გაღიზიანებულმა პოლიციელებმა მისი დაშინება და დაშანტაჟება სცადეს. გენებაშვილი აცხადებს, რომ მას მობილურზე რამდენიმეჯერ დაურეკეს დახურული ნომრიდან. ყოველ ზარზე ადრესატს აფრთხილებდნენ, დაშოშმინებულიყო, გაფრთხილდი, შენს უკან ოჯახი, შვილები დგანანო.

ჩვენი ინფორმაციით, თუ საქართველოში სიმართლის დადგენას ვერ მიაღწია, შანტაჟებისა და მუქარების მიუხედავად, გენებაშვილი ადამიანის უფლებების დამცველ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენებას აპირებს.

ახლობლების, ჟურნალისტების, არასამთავრობოების შეკითხვაზე, რა ელით მომხდარი ამბის მონაწილე პოლიციელებს, სამართალდამცავებს ერთი პასუხი აქვთ, — ინციდენტის საბოლოო გამოძიებამდე ყველა მონაწილეს დროებით შეჩერებული აქვს უფლებამოსილებაო. თუ ვის კონკრეტულად, პოლიცია მათ გვარებს მკაცრად ასაიდუმლოებს. შორენა ხელაშვილისა და თენგიზ კოტორაშვილის მიერ თავდაპირველად ამოცნობილი დიღმის პოლიციის თანამშრომელი მამუკა ჩადუნელი „ამ დროებით დასჯილთა“ სიაში უნდა შედიოდეს. დიღმელთა გადმოცემით კი ჩადუნელი ისევ ძველებურად დადის სამსახურში, ისევ ასრულებს მოვალეობებს თავის სამოქმედო უბანზე და ა.შ.

იბადება კითხვა: ვისლა შეუჩერეს უფლებამოვალეობები და რა მიზეზით?

**ზაზა ბილიხოძე**

## გამოცა

# ძველი ალერსი შემოგინახე...

**იზა ჯაჭვაძის ახალ პოეტურ კრებულში „ცრემლის ყელსაბამი“, ასეთ სტრიქონებს წააწყდებით: „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ, გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ, გიყვარვარ?.. და მრავალყურას ერთი ყურილა შერჩა!“ ამ პატარა ლექსში დიდი პოეტური სევდაც გამოსჭვივის და საკუთარი თავისადმი იუმორის გრძნობაც, თუ მრავალყურას „ერთი ყურილა შერჩა“, პასუხად გვრჩება — არ გიყვარვარ.**

პოეტის ცხოვრება და შემოქმედება რამდენი წელია ამ პასუხს ელის. იგი ხან უყვართ, ხან არ უყვართ, მისი ღვაწლი და ერთგულება ხან ჯეროვნად ფასდება, ხანაც — უმადურობის მსხვერპლი ხდება. ერთი რამ კი უეჭველია: იზას მიმართ გულგრილი არავინ რჩება. იგი ის პიროვნებაა, რომელიც მთელი არსებით ებრძვის ორგულობასა და უსამართლობას. ეს იმდენად მნიშვნელოვანია მისთვის, რომ სხვათა აზრი ამ ფასეულობათა შესახებ ნაკლებად აინტერესებს; მისთვის მთავარი საკუთარი კრიტერიუმებია და ამ კრიტერიუმების მიმართ დამოკიდებულება.




პოეზიას რომ თავი დავანებოთ, იზა ჯაჭვაძის ჟურნალისტური მოღვაწეობა გასაოცარი ენერგიით გამოირჩევა: ეს ერთი შეხედვით სუსტი ქალი, ყოველთვის გოლიათი მთების ჭირ-ვარამს ითავისებს, პაწაწა ხელისგულზე ატევს და ცივ ნიავს არ აკარებს მაშინაც, როცა „... **მაინც მწვერვალებს ედება ქარი!**“ (გალაკტიონი).

იშვიათია ჟურნალისტი, რომელსაც იზასავით ჰქონდეს ფეხით დავლილი საყვარელი მამული, — არდოტ-ხახაბო, ჯუთა თუ ჭიმლაამღა, შატილი, მუცო, არდოტი, ომალო, დიკლო, შენაქო, გირევი, ჩაღო... ამ და სხვა კუთხეების ყველა ოჯახის ტკივილს იზიარებს, მათ ყოველ გასაჭირს მიკროსკოპული სიზუსტით აღწუსხავს და გადმოსცემს და ღირსეულად მიიღო კიდეც ნიკო ნიკოლაძის სახელობის საამაყო პრემიის ლაურეატის წოდება, მთის ავ-კარგზე დაწერილი წიგნის — „ნისლივით მთასა ვკიდივარ“ — გამო და მიუხედავად იმისა, რომ გამოცემული აქვს რამდენიმე პოეტური კრებული, ეს ჟურნალისტური წიგნიც, ჩემი აზრით, პოეზიის ნიმუშია.

როგორც აღვნიშნე, „ცრემლის ყელსაბამი“ იზას ახალი წიგნია, რომლის რედაქტორობაც სიამოვნებით ვიტვირთე. ეს კრებული სავსეა **„ტანჯვის ოთახებით“, „სტორის ხეობით“, „წისქვილებით“, „მთის სამდურავებით“**, ბავშვობის წლებით, სინაზით, განთიადებით, **„უფანჯრო სახლებით“**, შეხვედრებითა და გამოთხოვებებით, სასოწარკვეთითა და შემართებით, **„მარაბდითა და კრწანისით“, „კეთილი ფიქრებით“** და **„წარსულით“**... მაგრამ მომავალზე არაფერი წერია... იქნებ არც უნდა იყოს, რადგან იზა ჯაჭვაძისთვის წარსულისადმი დამოკიდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, პოეტისათვის წინაპრებისადმი მადლიერებისა და ხსოვნის გარეშე **„გახუნებულა ირგვლივ ყოველი“**.. ფასი ეკარგება ხვალინდელ დღეს, თუ არ შეგიძლია, თქვა: **„ძველი ალერსი შემოგინახე“**... რადგან თუ წახვალ, თუ განუდგები, ეს მაინც უნდა დაგცდეს: **„ო, მაპატიონ ამ განშორების დანაშაული ჩემმა მინდვრებმა!“**

ამ წიგნში შეტანილ ლექსებს თუ წაიკითხავთ, უსათუოდ გაგაოცებთ ის აღმოჩენები, რაც მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტების წიგნებში შეიძლება შეიგრძნოთ. მას იმდენად სადა და ბავშვური მიამიტობით სავსე დამოკიდებულება აქვს პოეზიისადმი, რომ შეუძლებელია, აღტაცება არ მოგგვაროთ! მაყურებელი და მკითხველი (უფრო კი მაყურებელი, მკითხველი გაგვიზარმაცდაძ შეეჩვია ტელეპოეტების ხმამაღლა წაკითხულ ლექსებს, პრემიების მფლობელთა სახელებს, „შოუ-პოეზიას“ (თუ შეიძლება ასე ითქვასძ... მაგრამ პოეტური სული შეიძლება იქ გაბრწყინდეს, სადაც ნაკლებად ელი — როგორც ქუჩაში შემთხვევით რომ წამოკრავ ფეხს რაღაცას და წკარუნის ხმას გაიგონებ. შეიძლება არც დაიხარო და გზა განაგრძო, მაგრამ თუ დაიხარე, ეს „რაღაც“ შეიძლება ოქროს ბეჭედიც აღმოჩნდეს...

და კიდევ: სიყვარული იზა ჯაჭვაძის ცხოვრების წესია, ერთგულებისადმი დამოკიდებულება — მეტისმეტად თავისებური, ასე თავისებურად აღქმული ორგულობა მისთვის ისე მტკივნეულია, რომ ზოგჯერ შეუძლია, არცთუ სამართლიანად განსაჯოს გარშემომყოფთა საქციელი, მაგრამ მისი ნამდვილი სახე მაინც მისი ლექსებია, მის პოეზიაში ვერაფერს იპოვით სიყვარულის, ერთგულების, სამართლიანობისა და უსაზღვრო ტკივილის გარდა, **„თქვენ, მეგობრებო, სწორი მითხარით, თქვენგან თქმულ სიტყვის იმდენად მჯერა, ვით ჯოხიან ბრმას გამოწვდილი ხელის“.** დიახ, ჩვენ ერთმანეთისთვის ის ჯოხი უნდა ვიყოთ, რომელიც ასე სჭირდება ბრმა ადამიანს, ხოლო პოეტთან ერთად სინქრონულად უნდა გავიმეოროთ:

**„ჩემი სიყვარული ღმერთია,**
**ჩემთან მთებიდან რომ**
**ჩამოდის ბარში,**
**თან დამაქვს შენი სიყვარული,**
**თუ გინდა, წაილე —**
**სულ თან დამაქვს,**
**წაილე, მე მაინც დამრჩება,**
**რადგან დავდივარ**
**სიყვარულით...“**

ან:

**„არ გავწიროთ განწირული,**
**შევიკრათ, დავეხმაროთ,**
**ვუშველოთ,**
**თორემ სიკვდილს არ**
**შერცხვა — დედა წამართვა“.**

სხვაგვარად გულგრილობის სენი ჩვენს სულს ისე დააცარიელებს, რომ **„შენს ნაცვლად გამაცილებს, განახევრებულს ნახევარ-მთვარე!“**

**მზია ხეთაგური**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

◉ ელამი სარკე

# კოლეგები

**მთელი დღე ინტერნეტში რომ იქექო, იმდენ სიახლეს ვერ გადაეყრები, რამდენსაც ამ ყვითელ ავტობუსებში.**

— გუშინ კუს ტბაზე ვიყავი, — მეუბნება „ყვითელში" წამოზწკალებული თამუნა.

— აბა, მაგრად იყვინთავებდი.

— ვინ ჩამიშვა, თორემ კი.

— რავა, ბანაობა აკრძალულია?

— არა, მაგრამ პარლამენტი ყვინთაობდა და ჩემი ადგილი აღარ დარჩა.

— პარლამენტი?

— ჰო, რა გიკვირს, დეპუტატები თუკი ზამთარში თხილამურებზე ამხედრებულნი ახერხებდნენ სესიების გამართვას, ზაფხულის ხვატში ტბაში ჩაყვინთულებს რატომღა გაუჭირდებოდათ?

— იცოცხლე, სიცხეში ყვინთვას რა სჯობს, მაგრამ როგორღა კამათობდნენ?

— არაფერსაც არ კამათობდნენ, ჩაყვინთულები ულაპარაკოდ აწერდნენ ხელს კანონებს.

— სპიკერიც ჩაყვინთული იყო?

— რა თქმა უნდა, ქალბატონი ნინო ყველაზე ღრმად ყვინთავდა.

— რადგან ტბა გადაჭედილი იყო, ეტყობა, სხდომას არავინ აცდენდა.

— არა, უკლებლივ ყველა იქ იყო. დაჟე სტუმრებიც ჰყავდათ მოწვეული. ბესო ჯუღელი, მაგალითად, მიკირტუმასთან ერთად ყვინთავდა.

— მთავრობის წევრებიდან არავინ იყო?

— როგორ არა, რამდენიმე მინისტრსაც მოვკარი თვალი. ბენდუქიძეს რომ ამუნათებენ, გაყიდვის მეტი არაფერი გეხერხებაო, არ ყოფილა მართალი.

— არ თქვა ახლა, ცურავდაო.

— ცურავდა რომელია, ისე ყვინთავდა, ბეჰემოტს შეეხარბებოდა.

— აბა, ტბა ამოიწევდა.

— კი, ბალათურიამ გაზომა, ტბა მთელი ნახევარი მეტრით იყო მომატებული.

— ნეტავი შენ, ისტორიული სესიის მომსწრე გამხდარხარ.

— ჰო, მაგრამ...

— რა მაგრამ, — ყურები ვცქვიტე, — მოხდა რამე?

— თითქოს ისეთი არაფერი, მაგრამ რაღაც მომენტში ბოკერიას ამოყვინთვა გაუჭირდა.



— ყველაფერში წინამსწარა რო არი, თუ ყველა ჩაყვინთული იყო, მაგას რატომ უნდა ამოეყვინთა?

— თურმე არც აპირებდა, მაგრამ კობა დავითაშვილი დასწოლია თავზე და დახრჩობისა შეეშინდა.

— კობა უმრავლესობასთან როგორ შეიპარა?

— აი, ეგ არის საკითხავი. მაგას ახლა გამოძიება სწავლობს, არის ვერსია, რომ დავითაშვილს ბოკერიას დახრჩობა უნდოდა.

— მერე იმდენ ხალხში ვერავინ შეამჩნია?

— როგორ არა, გივი თარგამაძეს დაუნახავს, მაგრამ შიშისგან ენა დაბმია.

— აბა, რატომ გაუჩნდათ ეჭვი, რომ დავითაშვილი ბოკერიას ახრჩობდა?

— შესვენებაზე, რომელიც სპიკერმა გამოაცხადა, ბოკერიას მაგივრად დავითაშვილმა რომ ამოყვინთა, მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე... მიუსწრეს და წყალნაყლაპი ლიდერი ტბიდან ნემსკავზე წამოგებული ჭანარივით ამოაგდეს.

— ვენაცვალე მაგათ, — შევაქე უმრავლესობის ბიჭები, — რომ არ ეყოჩაღათ, ნამდვილად დავილუპებოდით!

— მაგრამ მაგით არ დამთავრებულა, — ჩაილაპარაკა თამუნამ.

— კიდევ რა მოხდა?

— ბოკერია, მოსულიერდა თუ არა, კუკავასთან მიცურდა და მოძულე ოპონენტი კარგა ღრმად ჩააყურყუმალა.

— ცუდად არის საქმე, აქ თუ რომელიმე დეპუტატი დაიხრჩო, ნატოს კარი სამუდამოდ გამოგვეკეტება, — გაიფიქრა პარლამენტის თავმჯდომარემ და იქვე ახლოს მოცურავე მეშველს უხმო.

— ეს სამეული — ბოკერია, დავითაშვილი, კუკავა — სასწრაფოდ უნდა ჩასვა ნავში და ტბის მეორე ნაპირზე გადაიყვანო, — მისცა დავალება.

— არ გამოვა, — თავი გააქნია მენავემ.

— რატომ?

— ჩემთან ნავში, ქალბატონო, ერთი კაცის მეტი ვერ ჯდება.

— შენც სათითაოდ გადაიყვანე, ოღონდ ისე გააკეთე, რომ დავითაშვილი და ბოკერია, აგრეთვე კუკავა და ბოკერია, მარტონი არ დარჩნენ, თორემ ისე არიან წაკიდებულნი, ერთმანეთს უმალ შეჭამენ!

მენავემ ბევრი იფიქრა, როგორ მოეხერხებინა ერთმანეთის მოსისხლე ოპონენტების უსაფრთხოდ გადაყვანა და ბოლოს მიაგნო — მგლის, თივისა და თხის გადაყვანის ცნობილი ამოცანა გაახსენდა.

— დაჯექი! — უთხრა მენავემ ბოკერიას, — ნიჩბები მოუსვა და ტბის შორეულ ნაპირზე გადაიყვანა (ადგილზე დარჩენილ დავითაშვილსა და კუკავას, რა თქმა უნდა, საფრთხე არ ემუქრებოდათ). იქიდან მობრუნებულმა მორიგი რეისით დავითაშვილი წაიყვანა, დატოვა ნაპირზე და ბოკერია უკანვე წამოიყვანა. ვიდრე ბოკერია გონს მოეგებოდა და კუკავას დაახრჩობდა, ეს უკანასკნელი სასწრაფოდ ჩასვა ნავში და ნაპირისკენ მოუსვა.

ბოლოს, კვლავ ბოკერიას გადაყვანის ჯერი რომ დადგა, სპიკერი დაეჭვდა:

— ეს რა არის, ბოკერია მეორედ გადაგყავთ?

— რა ვქნა, ქალბატონო, სხვანაირად ვერ მოხერხდა, — თავი იმართლა მენავემ.

— მაგრამ იქ თუ მარტონი დარჩნენ, დახრჩობას ვერ გადაურჩებიან.

— თუ თქვენი თანხმობა მექნება, ბოკერიას სულაც შუა ტბაში ჩამოვსვამ...

— აზრი არა აქვს, რაღა დავითაშვილს დაუხრჩვია და რაღა თავისით დამხრჩვალა, — თქვა თავმჯდომარემ და შეწყვეტილი სხდომა გააგრძელა.

— ძვირფასო კოლეგებო, ჩვენო სასიქადულო უმრავლესობავ, — მიმართა მან დეპუტატებს, — ახლა სანერვიულო აღარაფერი გვაქვს, ნუ აჩქარდებით, რადგან ოპოზიცია ტბის მეორე ნაპირზე გავიტყუეთ, შეგვიძლია ვყვინთოთ და საერთოდ აღარც ამოვყვინთოთ...

**ოტია ჩართოლანი**

ხსოვნა

# გრიგოლ თუმანიშვილი

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ კიდევ ერთი სერიოზული დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, პროფესორი გრიგოლ (გივი) თუმანიშვილი. გ. თუმანიშვილი დაიბადა 1925 წლის 10 აგვისტოს ქ. თბილისში. 1949 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1952 წლამდე სწავლობდა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტურაში აკადემიკოს ივ. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კინესტატიკური და ლაბორატორიული გაღიზიანებების მნიშვნელობა ძილისა და ღვიძილის შენაცვლებაში", ხოლო 1964 წელს — სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „უჯრედშორისი ურთიერთქმედებათა როლი ქსოვილთა ზრდის რეგულაციაში".



1957-1965 წწ. ის ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილებას, 1965-1981 წწ. — ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორიას, რომელიც 1983 წელს გ. თუმანიშვილის ხელმძღვანელობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის შემადგენლობაში შევიდა.

გ.თუმანიშვილი საქართველოში მეცნიერების ორი დარგის ფუძემდებელია: მისი მონაწილეობით დაფუძნდა ბიოფიზიკა, ხოლო რაც შეეხება ინდივიდუალური განვითარების ბიოლოგიას, საქართველოში ამ დარგის ერთპიროვნულ დამფუძნებლად სწორედ გ. თუმანიშვილი ითვლება. მას ეკუთვნის უჯრედების დიფერენცირების ე.წ. „დახრილი სიბრტყის" თეორია, ცოცხალი სისტემების ონტოგენეზური თეორია და სხვ.

გ. თუმანიშვილი ასოცზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთაგან 4 მონოგრაფიაა. მას ეკუთვნის ციტოლოგიის პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 25 საკანდიდატო დისერტაცია.

გ. თუმანიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების (ცხინვალი, ბათუმი, ქუთაისი) უმაღლეს სასწავლებლებში. 1981-1985 წწ. გ. თუმანიშვილი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1983-2001 წწ. — ბიოლოგიის ფაკულტეტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე.

გ.თუმანიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ის გახლდათ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დამაარსებელი, საქართველოს მწვანეთა ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური და საქართველოს ეკოლოგიური აკადემიების წევრი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1995), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს WWF ორგანიზაციის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ადამიანი და ბიოსფეროს (MAB) ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, რეგენერაციის შემსწავლელთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი.

გ. თუმანიშვილის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს მხატვრულ შემოქმედებას. გატაცებით და პროფესიული პასუხისმგებლობით იგი წერდა (ქართულად და რუსულად) ლექსებს, მოთხრობებსა და პიესებს, ხატავდა პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს. მან პირველმა მიმართა საბჭოური ხანის საქართველოში მაცხოვრის ცხოვრების თემას და, ამდენად თანამედროვე ქართული რელიგიური მხატვრობის ერთ-ერთი წამომწყებთაგანია. გ. თუმანიშვილი ხელმძღვანელობდა შინაურ მარიონეტების თეატრს, რომლის წარმოდგენებს დიდი მოწონება ჰქონდა.

1985 წელს გ.თუმანიშვილი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით; 1986 წელს — ივანე ჯავახიშვილის მედლით, ხოლო 1997წ. და 2000წ. ღირსების ორდენებით; 1998 წელს გ.თუმანიშვილი აღიარებული იყო საქართველოს წელიწადის მეცნიერად მამაკაცთა შორის. 2002 წელს მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში „Five Hundred Leaders of Influence".

საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერი და პიროვნება, დიდი ინტელიგენტი, პროფესორი გ.თუმანიშვილი თავისი მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი და მეცნიერული ცხოვრების წესით ყოველთვის ქართული სულიერების შენარჩუნებას ემსახურებოდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

გრიგოლ თუმანიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ გურამ გოგიაშვილს ძმისწულის

მარინა გოგიაშვილი-რაზმაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ბატონ ტარიელ კულულაშვილს დედის

ქეთევან ციხისთავი-კულულაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის იურიდიული ინსტიტუტი თანაუგრძნობს და გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ბატონ ტარიელ კულულაშვილის ოჯახს დედის

ქეთევან ციხისთავი-კულულაშვილის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სამშაბათს, 24 VII, 14 სთ. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში.

---

მზია ქაჯაია და ვოვა იოსელიანი ოჯახით გულითადად თანაუგრძნობენ ტარიელ კულულაშვილსა და დიანა მათიაშვილს დედის, ღვაწლმოსილი, დიდად დამაშვრალი ქალბატონის

ქეთევან ციხისთავი-კულულაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თინა, ხათუნა, ირაკლი გაბუნიები, კოკი ცეცხლაძე გულწრფელი მწუხარებით თანაუგრძნობენ გივი, ხათუნა, ალიკო ანჩაბაძეებს საყვარელი მეუღლის და დედის, ჩვენი ოჯახის მეგობრის, ძვირფასი ქალბატონის

ჟანა ანჩაბაძის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „მაგთიკომის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალიკო ანჩაბაძეს დედის

ჟანა ნიკოლოზის ასულ კუტალაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

განცხადება

სს „მერკური" (ყოფილი სს სავაჭრო ცენტრი „მერკური") 2007 წლის 10 აგვისტოს 13 საათზე შედგება აქციონერთა საერთო კრება.

მისამართი: ქ. რუსთავი, ჩერკასკის ქ. (XXI მ/რ)

დღის წესრიგი:

1. 2006 წლის სამეურნეო-საფინანსო ანგარიში და მომავლის ამოცანები;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები.
3. სხვადასხვა.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

● სიყვარულის გამო „გასწირა თავი“ ნოვგოროდის ოლქის მცხოვრებმა ვინმე ალექსიმ. მან სასაზღვრო მდინარე ნარვა გადაცურა, რათა ესტონეთის ამავე სახელწოდების პატარა ქალაქში საყვარელ ქალს შეხვედროდა



◎ გვემრავლოს!

# დაგვილოცნია 208 ჩვილის მომავალი!

**დავინტერესდით პირველი ივლისიდან დღემდე სამშობიარო სახლებიდან, როგორ სასიხარულო ინფორმაციებს მივიღებდით.**

—ჩვენთან 69 ოჯახმა პირველი შვილის შეძენით გაიხარა, — გვაცნობა სამშობიარო სახლ „ორიონის“ უფროსმა მეღდამ ნანულმა დამენიამ, — უფრო მეტად თბილისელებია და გოგონები. ბევრი მათგანი უკვე გაეწერა, ვინც ჯერჯერობით დარჩა, თავს კარგად გრძნობს.



— ჩვენთან 139 ბავშვი დაიბადა, — გვაცნობა თბილისის კლინიკური ცენტრის ადმინისტრატორმა გიული ლეკიშვილმა.

ის-ის იყო ყურმილი დავდეთ, რედაქციის კარი სიმპატიურმა მანდილოსანმა თამარ ალავიძემ შემოაღო:

—მე თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი ვარ და მსურს ჩემი ოჯახის სიხარული გაგიზიაროთ, — გვითხრა მან. სანამ ზესტაფონში ჩავალთ, იქნებ თქვენი გაზეთიდან შეიტყონ ჩემი ოჯახის სიხარული მეზობლებმა და ახლობლებმაო. ჩემს ვაჟიშვილს ბიძინას პირველი შვილი შეეძინა, პაატა დაარქვაო.

სტუმარს შვილიშვილის შეძენა მივულოცეთ.

ჩვილბავშვიანობა არ მოშლოდეთ ქართულ ოჯახებს.

**ნათელა ფაილოძე**

◎ ინფორმაცია

## „სტანდარტ ბანკი“ – ბათუმში

**„სტანდარტ ბანკი“ თბილისის რაიონების გარდა, ფილიალების გახსნას რეგიონებშიც განაგრძობს.**

როგორც ბანკიდან იტყობინებიან, ბათუმში, რუსთაველის №12-ში დღეს „სტანდარტ ბანკის“ ბათუმის ფილიალი გაიხსნება.

ბათუმელებს და ქალაქის სტუმრებს ფილიალში შესაძლებლობა ექნებათ, „სტანდარტ ბანკის“ ტრადიციული და ახალი სერვისებით ისარგებლონ.

**ინტერპრესნიუსი**

## გურჯაანელებს მაღალი ძაბვის ბოძები არ მოსწონთ

**გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდრის მოსახლეობა მაღალი ძაბვის ელექტროენერგიის ბოძების დემონტაჟით იმუქრება.**

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, სოფლის მოსახლეობამ საცხოვრებელი სახლების ეზოებიდან მაღალი ძაბვის ელექტრობოძების აღების თხოვნით „კახეთის ენერგოდისტრიბუციასა“ და ადგილობრივ ხელისუფლებას არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

—აღნიშნული პრობლემით არავინ დაინტერესებულა, არადა, წვიმისას ელექტროენერგიის ბოძებს გაუმართაობის გამო ცეცხლი უჩნდება, რაც საფრთხეს უქმნის ირგვლივ მდებარე სახლებში მცხოვრებთ, — იუწყება „ადამიანის უფლებათა ცენტრი“.

მოსახლეობის ინფორმაციით, ელექტროენერგიის სადენები ბევრგან დაზიანებულია და მიწაზეა ჩამოშვებული, რაც უბედური შემთხვევების რისკს კიდევ უფრო ზრდის.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ლარის კურსი

**21 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,4158 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6655 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2957 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9486 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4925 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3310 ლარი. |

◎ ანეკდოტები

— არა მჯერა, რომ დაყვერილმა კატამ დაუყვერავზე მეტხანს იცოცხლოს!
— რატომ?
— რისთვისლა?!

* * *

მამაო, მაინც ვისგან წარმოიშვნენ ადამიანები, ადამისა და ევასგან თუ მაიმუნისგან? — ეკითხება სემინარიელი მღვდელს.
— ერთისგანაც და მეორისგანაც, შვილო ჩემო.
— ეს როგორ?
— როგორ და, ევა ხომ ტანს უსაპნოდ იბანდა, თმებს თითებით ივარცხნიდა, მანიკურს კბილებით იკეთებდა, სულელურ სამკაულებს ატარებდა, კოსმეტიკა კი საერთოდ არ ჰქონდა. ჰოდა, ევა იმავდროულად მაიმუნიც არ იყო?



* * *

— აი, დადგება ზამთარი, მოვა თოვლი, დაარტყამს ყინვა და...
— მე ქუჩაში არ გავალ!
— რატომ?
— ყინვამ რომ არ დამარტყას.

* * *

— რატომ არის თქვენს რესტორანში ასეთი ბლაგვი დანები?
— სანამ ამგვარი უგემური კერძები მზადდება და ფასები ასე მაღალია, ოფიციანტები უარს ამბობენ მუშაობაზე, თუ კლიენტებს მჭრელი დანები ექნებათ.

* * *

— მამი, მფრინავებს რად უკეთიათ „ნაუშნიკები“, კაბინაში ხომ სიწყნარეა და დინამიკითაც იოლად გაიგებენ ყველაფერს?
— იმიტომ, შვილო, რომ ავარიის დროს თავი შორ არ გაგორდეს, გაიგე?


**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576


◎ რა არ ხდება?!

## რეკორდსმენი პაციენტი

**თავისებური რეკორდი დაამყარა 42 წლის ამერიკელმა ტენისის შტატიდან ტონ ჰიკსმა — სამ დღეში ის სამჯერ მოხვდა საავადმყოფოში და ერთხელ კი — ციხეში!**

ჰიკსის ჯერ მანქანა დაეჯახა, მაშინ აღმოჩნდა პირველად საავადმყოფოში, მეორე დღეს ტონის ბინაში მძარცველი შეიჭრა, მან ბინის პატრონს სახეში კათხა ჩაარტყა და ძვირფასი ნივთები გაიტაცა. უიღბლო ამერიკელი კი კვლავ საავადმყოფოში გააქანეს.

მესამე დღეს კი ერთ-ერთი პატარა მაღაზიის თანამშრომელმა პოლიციას აცნობა, რომ მათთან შეიჭრა თავზე წინდაჩამოცმული კაცი, პისტოლეტით დაემუქრა და ფული მოითხოვა.

გამოძიებისას დაკითხეს იქვე ახლოს მცხოვრები ჰიკსიც. პოლიციელებთან საუბრისას ის „აგრესიულად მოქცეულა“. ოფიცრები იძულებულნი გამხდარან, გამოეყენებინათ იარაღი და ტონი დაჭრილა.

ახლა ის კვლავ საავადმყოფოშია. თანაც ბრალი ედება შეიარაღებულ ძარცვასა და მკვლელობის მცდელობაში.

## „უსაზღვრო“ სიყვარული

**სიყვარულს, მოგეხსენებათ, დაბრკოლებებისა და აკრძალვის არ ეშინია. სწორედ სიყვარულის გამო „გასწირა თავი“ ნოვგოროდის ოლქის მცხოვრებმა ვინმე ალექსიმ. მან სასაზღვრო მდინარე ნარვა გადაცურა, რათა ესტონეთის ამავე სახელწოდების პატარა ქალაქში საყვარელ ქალს შეხვედროდა. მთვრალი შეყვარებული ესტონელმა მესაზღვრეებმა შეიპყრეს.**



— შევნიშნეთ, რომ რუსეთის მხრიდან სამი მამაკაცი საეჭვოდ ათვალიერებდა მდინარის სანაპიროებს. შემდეგ ერთმა მათგანმა გაიხადა და ესტონეთის მხარეს გამოცურა, თან წინ რაღაც პაკეტს მოაცურებდა (შემდეგ მასში შეყვარებულის ტანსაცმელი აღმოჩნდა).

ალექსიმ აღიარა, რომ ძალიან მოენატრა საყვარელი არსება, მაგრამ, რადგან ვიზა არ ჰქონდა, ამიტომ „გულის ვარდისკენ“ ცურვით გასწია.

მდინარის სიგანე თითქმის 400 მეტრია, წყალი კი მუდამ ყინულოვანი.

მესაზღვრეებმა თავგანწირული შეყვარებული 520 დოლარით დააჯარიმეს და რუსულ მხარეს გადასცეს.

◎ კადრი




№ 140. შაბათი, 21 ივლისი, 2007 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.